...პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 31
(11 692)

29 აპრილი - 1 მაისი (სამშაბათი - ხუთშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ვინც დროულად ეხმარება, ორმაგად ეხმარება!..

საერთაშორისო ურთიერთობები

„გაოცებული ვართ როგორ აღწევთ ასეთ წარმატებებს იმ პირობებში, როგორშიც თქვენ მუშაობთ“ – ეს სიტყვები გუშინ საღამოს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში, სეოკ-ის პრეზიდენტთან ჯანსუღ ბაგრატიონთან მიღებისას წარმოთქვა სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, იტალიელმა ბრუნო გრანდმა, რომელიც ფედერაციის გენერალურ მდივანთან ნორბერტ ბუშთან და საპატიო გენერალურ მდივანთან ანდრე მიუსბელერთან ერთად ეწვია თბილისს.

ეს იყო საერთაშორისო ფედერაციის მაღალჩინოსანთა საქართველოში პირველი სამდღიანი საქმიანი ვიზიტი, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენს ქვეყანაში ტანვარჯიშულ სახეობათა მდგომარეობის გაცნობას და ფედერაციებს შორის ურთიერთობის განმტკიცებას პრობლემათა გაანალიზების გზით. პრობლემებს კი ქართულ სპორტში რა გამოლევს. ამიტომ დარჩნენ ესოდენ გაოცებულები, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, გაოგნებულები სტუმრები და ღიად განაცხადეს, რომ ყველაფერს იღონებენ რეალობად აქციონ დახმარების პროგრამა. უპირველესად მოგვარდება უკვე არა თუ მოძველებული, არამედ სრულიად უვარგისი და ვარჯიშისა თუ შეჯიბრების პროცესში სიცოცხლისათვის სახიფათო სპორტული ინვენტარის განახლების საკითხი.

სტუმრებმა მიანიშნეს იმაზეც, რომ კარგად იცნობენ წარსულში საქართველოს ტანმოვარჯიშეთა მიღწევებს და იციან ისიც, თუ დღეს რა პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია დიდი ტრადიციების ქვეყანას. „თქვენი ფედერაცია იმსახურებს ჩვენს თანადგომას და დახმარებას, რასაც გავაკეთებთ კიდეც“ – შენიშნა ბრუნო გრანდიმ.

საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტმა ომარ ღონღაძემ მადლობა გადაუხადა სპორტის დეპარტმანეტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს, პარლამენტის მეცნიერების, განათლებისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ნოდარ ამაღლობელს, სეოკ-ის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს სტუმრებთან შეხვედრებისათვის, რომელმაც ჩაიარა ერთი ნიშნით: „ყველაფერი ქართული სპორტის კეთილდღეობისათვის“.

შეხვედრებსა და საქმიან დიალოგებში მონაწილეობდნენ საქართველოს სპორტის ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები მზია ჯუღელი, რუსუდან სიხარულიძე და რუსუდან ხოფერია.

„ლელო“ – სააგენტო „გუმათი“

საქართველო – რუსეთი

რა გადააქცევს მგლებს ლომებად უეფას თბილი ხელი თუ შუშაკის შეგონება?

ნაკრებს ქინქლაძე გამოაკლდა

საქართველოს ეროვნული ნაკრები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე 26 აპრილს შეიკრიბა და რუსებთან მატჩისათვის მზადებას შეუდგა. შუშაკმა და კომპანიამ ნაკრები თავშეყრის პირველ დღეს ორჯერ ავარჯიშა. კვირას კი ღია ვარჯიში გამართა ეროვნულ სტადიონზე, რომელსაც შვეიცარიიდან დაბრუნებული სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაც დაესწრნენ. ეროვნული გუნდის ერთსაათიან ვარჯიშს გულშემატკივართა და მასმედიის წარმომადგენელთა საკმაო რაოდენობამაც ადევნა თვალყური. ფეხბურთელთა გარჯას და მწვრთნელთა ხმამაღალ შეძახილებს, ხშირად მოწონების ტაში არგვირგვინებდა.

პრესკონფერენციაზე, ნაკრების ხორვატმა თავკაცმა, უპირველესად, აღდგომა მოგვილოცა. მერე ის გვაუწყა, რომ გაციებისა და დიდი სიცხის გამო ნაკრებს გიორგი ქინქლაძე გამოაკლდა. ჩვენ ვითარების გაუარესებას მოვერიდეთ და ფეხბურთელთან გასაუბრების შემდეგ იგი შეკრებაზე აღარ გამოვიძახეთ. თვრამეტ ფეხბურთელს ორშაბათს, შოთა არველაძე შეუერთდა, კახი კალაძე, რომელსაც ეროვნულზე პირველ ვარჯიშში მონაწილეობა დაღლილობის გამო არ მიუღია, მერე უკვე ჩვეული შემართებით შეუერთდა გუნდს. შუშაკი, როგორც თავად განაცხადა, კმაყოფილია ფეხბურთელთა განწყობით და მომზადების დონით. „ისინი, პროფესიონალები და პატრიოტი სპორტსმენები, მგლებივით ბიჭები არიან. მატჩის დღეს კი მინდორზე მგლები ლომებად გარდაიქმნებიან. ფეხბურთელებისგან მაქსიმალურ მობილიზებას, ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს, სპორტული და პიროვნული თვისებების გამოვლინებას, მინდორზე გამარჯვების სულისკვეთებით გასვლას მოვითხოვ“ — თქვა შუშაკმა.

უეფას გადაწყვეტილების თაობაზე შუშაკმა გვაუწყა, რომ „უეფას ქმედება უნდა დავაფასოთ, მათ ჩვენ თბილი ხელი გამოგვიწოდეს. მაყურებელი კი ჩვენთვის დამატებითი სტიმული უნდა გახდეს“. მისივე თქმით, იგი დიდ პატივს სცემს მეტოქეს და შეეცდება ღირსეულ მოწინააღმდეგეს ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად და ტაქტიკურად მომზადების პიკზე მყოფი გუნდი დაუპირისპიროს.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, ეროვნულ სტადიონზე, ანალოგიური ღია ვარჯიში გუშინაც გამართა, ჟურნალისტებს ისევ ჰქონდათ ფეხბურთელებთან გასაუბრების საშუალება, მათი განწყობაც მწვრთნელების განწყობის იდენტურია და ნაკრებში, არსებული

იხ. მე-4 გვ.

ნომერში
წაიკითხავთ:
- ვაკე-ფშაველა საგარეჯოში
- ❖ „დინამო“ 80 წლისაა
- კაცმა ქონება სპორტში ჩადო...
- ❖ 101 ვარჯიში ნორჩი ფეხბურთელებისთვის
- რა თქვა ლეონარდომ “სიცილის დღეს“
- ❖ ლიუისი კლიჩკოებს ემუქრება და მერე როგორ...
- კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

დემეტრაძე და ნემსაძ

SOS

უეფამ რუსი გულშემატკივრები თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაუშვა

უეფამ რუსეთის საფეხბურთო კავშირს გუშინ გაუგზავნა ოფიციალური შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, 30 აპრილის საქართველო — რუსეთის მატჩზე, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაშვებულნი არიან რუსი გულშემატკივრები. რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალური მდივნის ვლადიმერ როდიონოვის თქმით, მატჩზე დასწრების უფლება აქვთ იმ გულშემატკივრებს, რომელთაც დღემდე შემოუნახავთ ძველი, 2002 წლის 12 ოქტომბრის ჩაშლილ მატჩზე დასასწრები ბილეთები.

კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ლიდერები ლიდერობენ...

„დინამო“ და „ბასკო“ დამაჯერებლად ინარჩუნებენ ლიდერობას ეროვნულ ჩემპიონატში. სულაც არ იწვევდა ეჭვს, რომ „დინამო“, სტუმრად და „ბასკო“ შინ ადვილად მოიგებდნენ. ორივეს მეტოქე, თუ ამას მეტოქეობა ჰქვია, ხომ აუტსაიდერი გუნდები იყვნენ. ქუთაისშიც და ბათუმშიც უჩვეულო საკალათბურთო ანგარიში დაფიქსირდა — თბილისელთა სასარგებლოდ — 101:45 და „ბასკომ“ კი სსუ-ს 113:64 მოუგო. დაგვეთანხმებით, თვით ანგარიში მეტყველებს რა დიდი ზღვარია მაღალ და ქვედა სართულებს შორის.

ქუთაისი – დინამო 45:101
14:24, 13:24, 11:26, 7:27

ქუთაისი: შანიძე (8), მაისურაძე (7), ცერცვაძე (1), ნინუა (2), დოლიძე (5), კვიმსაძე (12), კოლუაშვილი, შვლაკაძე (2), პირტახია, მ. ბოლქვაძე, იმნაძე (6), ა. ბოლქვაძე (2).

დინამო: აბრამიძე (3), ხოშტარია (8), ბექანიშვილი (13), თორთლაძე (8), მინაშვილი (17), სიროვინა (6), ნინიაშვილი (12), მარკოიშვილი, ვენსკუნასი (10), ჩუბინიძე (6), მუპე (14), ჩხეიძე (4).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი.

ბასკო – სსუ 113:64
27:15, 31:15, 21:16, 34:18

ბასკო: ბაბიაშვილი (25), შენგელია (8), წოწელია (6), ნიკოლაძე (14), ცინცაძე (6), კეშელავა (16), ქარაბაკი (16), კეიდია (11), როდუმტა (11).

სსუ: ჩიტაშვილი (5), აბულაძე (14), პატარაია, სორდია (17), ონიკაშვილი (6), ქვილითაია (12), ხოშტარია (4), კანკია (2), ურიდია, ბარბაქაძე (4).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი.

სტუდენტებს მათთვის აშენებულ სპორტულ კომპლექსში თამაში ეკრძალებათ...

70-იანი წლების ბოლოს საქართველოს პროფსაბჭოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის გვერდით ააშენა იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული კომპლექსი, რომელიც „ბურევესტნიკის“ სახელით მონათლეს, ვინაიდან, სახსრები, რომელიც ამ კომპლექსის ასაშენებლად დაიხარჯა, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასიდან და სტუდენტთა სტიპენდიების პროფანარიცხებიდან იყო აკუმულირებული. თავდაპირველად სტუდენტები მართლაც იყვნენ ამ კომპლექსის ბატონ-პატრონები, მაგრამ დღეისათვის, როგორც სხვა ზოგიერთ სპორტულ კომპლექსს, დაეპატრონენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ნება-სურვილით განაგებენ სპორტული ბაზის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, არაფრად დაგიდევენ საერთო ინტერესებს.

როგორც ცნობილია, საქართველოს განათლების სამინისტროს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ერთობლივი დადგენილებით მიმდინარეობს სტუდენტთა სპორტული თამაშები „უნივერსიადა-2003“. პროგრამის 18 სახეობაში შეტანილია მინი-ფეხბურთიც და, როდესაც „ქარიშხალას“ (ამჟამად ასე ეწოდება კომპლექსს) დირექტორს კახა დევდარიანს თხოვნით მივმართეთ გამოეყო დრო შეჯიბრების ჩასატარებლად, მან გვირჩია მისი მოადგილისათვის მიგვემართა. ასეც მოვიქეცით. მოადგილემ კი მოგვახსენა, რომ სპორტული კომპლექსი ძალზე დაკავებულია და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, კერძოდ, 22 მაისიდან გახდება შესაძლებელი შეჯიბრების ჩატარება და გვირჩია, ოფიციალურად წერილობით მიგვემართა. ჩვენც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბატონ ირაკლი მეძმარიაშვილის ხელის მოწერით წერილი გავუგზავნეთ, მაგრამ კახა დევდარიანს ახლა ის გაახსენდა, რომ სპორტული დარბაზი თურმე იმ დროსაც დაკავებული ყოფილა და უარი შემოგვითვალა. როდესაც ტელეფონით დავუკავშირდი, მირჩია სხვა დროს ექვსი თვით ადრე მიმემართა მისთვის. ასეთი პასუხი მისგან, სხვათა შორის, პირველი არ არის. არადა, ყველამ იცის, ნებისმიერ სახელდახელოდ შეკრებილ ფეხბურთის მოყვარულებს, უპრობლემოდ, წინასწარ შეუთანხმებლად შეუძლიათ ამ კომპლექსის გამოყენება, ოღონდ... ნაღდი ფული გადაიხადონ.

ამაზე მეტი ცინიზმი რაღა იქნება – სტუდენტებისათვის აშენებულ სპორტულ კომპლექსში უარსეუბნებიან სტუდენტთა თამაშების მონაწილეებს ჩაატარონ შეჯიბრება. დავძენ, რომ დანარჩენ სპორტის 17 სახეობაში არავითარ პრობლემას არ გვიქმნიან სპორტული ბაზების ხელმძღვანელები.

ალბათ, საქართველოს პროფსაბჭოს მესვეურებმა უნდა გაარკვიონ თუ რა ხდება „ქარიშხალას“ სპორტულ კომპლექსში...

გივი მძელური,
საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი.

გულშემატკივართა საყურადღებოდ!

სფფ-ს, თბილისის პოლიციისა და „ლოკომოტივის“ სტადიონის დირექციის გადაწყვეტილებით, ხვალინდელ, 30 აპრილის საქართველო — რუსეთის ნაკრებთა შესარჩევ მატჩს დაესწრებიან მხოლოდ შარშანდელი, 12 ოქტომბრის, ამავე გუნდების მატჩის ბილეთების მფლობელი გულშემატკივრები. სტადიონზე გაიღება ექვსი კარი. ქომაგთა შესვლას და ძველ ბილეთებს მკაცრად გააკონტროლებს პოლიცია. სასურველია გულშემატკივრები სტადიონზე მოვიდნენ მატჩამდე ორი საათით ადრე. დასავლეთი ტრიბუნის ბილეთების მფლობელები განთავსდებიან დასავლეთ ტრიბუნაზე, აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ტრიბუნებისა — აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, რადგან საფეხბურთო კარებებს უკან მდებარე (ჩრდილოეთის და სამხრეთის) ტრიბუნები ჩაიკეტება.

* * *

გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ იგო შუშაკის განმარტებით ოცივე ფეხბურთელი ამ დროისთვის ჯანმრთელადაა. საქართველოს ნაკრები დღეს 18 საათზე „ლოკომოტივის“ სტადიონს დაეჭაშნიკებს. ვარჯიშამდე ჟურნალისტებს ისევ შეეძლებათ გაესაუბრონ ფეხბურთელებს და მწვრთნელებს.

რუსეთის ნაკრები დღეს საღამოს ჩამოფრინდება ჩარტერული რეისით. დაბინავდება „მეტეხში“. ვახშმის შემდეგ გაზაფი სასტუმროში რუსი და ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს. სტუმართა ნაკრები „ლოკომოტივზე“ ხვალ 14 საათზე ივარჯიშებს.

ATHENS 2004

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 4 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 10 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

ვაჟა-ფშაველა საგარეჯოში

მოგონება

განსაკუთრებით საყურადღებოა ის მოგონება, რომელიც ეხება ვაჟა-ფშაველას, და რომელსაც ირემია გულისაშვილის შვილიშვილი ჯიმშერ გულისაშვილი გვიამბობს. აი ისიც: „საგარეჯოში აღდგომის მეორე დღეს უდიდესი დღეობა იცოდა, რომელზედაც ხალხი მეზობელი სოფლებიდანაც მოდიოდნენ დასასწრებად, იმართებოდა დიდი ნადიმი, ცეკვა-თამაში და, რა თქმა უნდა, ქართული ჭიდაობაც. ჩემს მეზობლებსა და ნათესავებს მოეწონათ ახოვანი ალნაგობის ლუკა და რამდენიმე სუფრაზე იგი საპატიო სტუმარი გახდა, მაგრამ, აი დამთავრდა ნადიმი, გაისმა საჭიდაო ჰანგები და ხალხმა მოედნისკენ გაიწია, სადაც ახალგაზრდობას წრე გაეკეთებინა და ჭიდაობისთვის ემზადებოდა. მაშინ საგარეჯოში ყველაზე განთქმული მოჭიდავე იყო ფეშხანას პაპა გ.ი. არჩვაძე. იგი ძვალმსხვილი, ძარღვიანი ახალგაზრდა იყო და ქართული ჭიდაობის ფანდებიც კარგად ეხერხებოდა. რამდენიმე მოჭიდავე წააქცია და აქეთ-იქეთ იყურებოდა თავმომწონედ ახალი მოწინააღმდეგის მოლოდინში. საჭიდაო ზურნა თითქოს გახელებული უკრავდა და გამარჯვებულს უფრო აღიზიანებდა, გამარჯვებულმა ვაჟა-ფშაველას მიაპყრო თვალი და დაიყვირა, გინდა თუ არა სტუმარი ვაჟა-ფშაველა დამაჭიდეთო. ხალხი მიეხვია, არწმუნებდა, მასთან ჭიდაობა უხერხული არისო, იერემია ამბობს, ვაჟა-ფშაველას ვერაფერი ვურჩიეო. ბოლოს ფშაველა შევიდა საჭიდაო არენაზე ნახერხყრილზე, როგორც იყო ჩაცმული. ზურნამ განახლებული ძალით დაჰკრა საჭიდაო. საგარეჯოელმა მოჭიდავემ სწრაფად შემოუარა ცეკვით წრეს, რაც ქართული ჭიდაობისათვის ლამაზ მოთელვას ნიშნავდა... ეკვეთნენ ერთიმეორეს ფალავნები ელვის სისწრაფით. ადგილობრივ მოჭიდავეს ორივე ხელი სტაცა და გააჩერა. არაადამიანურმა ძალამ თითქოს მიწას მიაჯაჭვა მოჭიდავე, ბოლოს მოხდა ის, რომ ორივენი ღირსეული მეტოქეები აღმოჩნდნენ, ვერცერთმა ვერ დაძლია. ამისათვის ერთიმეორეს ღიმილით ჩამოართვეს ხელი და ასე დატოვეს საჭიდაო წრე. მაყურებელი ხალხი ორივე ფალავანს ოვაციით აცილებდა. აღნიშნული ასპარეზობის შემდეგ საპატიო სტუმარი თავის სუფრაზე მიიწვია გ. ი. არჩვაძემ (ტურიკამ). საღამომდე იქეიფეს. ეს მოხდა 1882 წელს. ერთი სიტყვით, ვაჟა-ფშაველამ, ჩვენმა მგოსანმა კახეთში კარგი სანახაობა ნახა. იგი დღეობებში საქართველოს ყველა კუთხეში დადიოდა. ცეცხლოვანი ჩვენებური ცეკვის, ქართული სიმღერის, ქართული ვაზისა და ღვინის მსგავსად, ეროვნული სიამაყე და საგანძური ქართული ჭიდაობაა, რომელსაც დიდად აფასებდა გენიალური ვაჟა-ფშაველა".

ბივი ეპიტაშვილი
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სოფ. პატარძეული

სპორტული ცეკვები. საქართველოს ჩემპიონატი

დიდი გამოცდა დიდი ტურნირის წინ

სულ მალე თბილისი დიდ საერთაშორისო კონკურსს, სპორტულ ცეკვებში „კავკასიის თასის" 2003 წლის ღია გათამაშებას უმასპინძლებს ბავშვთა კალათბურთის სასახლეში. მონაწილეობის სურვილი მსოფლიოს 13 ქვეყნის მოცეკვავეებმა გამოთქვეს. სწორედ ამ დიდი ასპარეზობის პრელუდიად იქცა საქართველოს ჩემპიონატი სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში, რომელიც მუშტაიდის ბაღის საცეკვაო დარბაზში გაიმართა.

გაგაცნობთ ჩემპიონატში გამარჯვებულებს და პრიზიორებს. **2 ცეკვა (7-10 წ.წ.)**: დ. ავალიანი — ნ. ღვინეფაძე (ქუთ. „ელიტა"), 2. ლ. ტურენკო — ქ. თინიკაშვილი (თბ. „ელეგია"), 3. დ. კუპრეიშვილი — თ. ქარხალაშვილი (ქუთ. „ელიტა"); **3 ცეკვა. (უფროსი ასაკი)**: 1. გ. სტეფლიანი — თ. ლაბუჩიძე (თბ. „თელა"), 2. ლ. ქიმერიძე — ე. მირველაშვილი (თბ. „ბლექპული"), 3. ს. კალიუჟნაია — მ. ლურსმანაშვილი („ვარკეთილი"); **5 ცეკვა. (7-10 წ.წ.)**: 1. ს. ოდიკაძე — მ. ლომიძე („ელიტა"), 2. შ. გიგოშვილი — ა. ჭაბაშვილი („ელეგია"), 3. გ. მელანაშვილი — მ სინჯიაშვილი (თბ. „ფიესტა"); **5 ცეკვა (16-18 წ.წ.)**: 1. გ. კოლუაშვილი — ა. მოწორელია („ელიტა"), 2. ა. ლაფაჩიძე — ქ. კოშუაშვილი (თბ. „ცისაფერსი"), 3. ლ. მეტრეველი — ნ. ნადირაძე („თელა"); **6 ცეკვა (16 წ. უხნესი)**: 1. ზ. დევდარიანი — ლ. თოფურია („თელა"), 2. დ. ხარძიანი — ლ. ბოჩიკაშვილი („ვარკეთილი"), 3. ი. კვირიკაშვილი — თ. კილაძე („ელიტა"); **9 ცეკვა (გოგონები)**: 1. ა. კალმახელიძე — თ. მეტრეველი, 2. მ. კორახაშვილი — თ. სამხარაძე, 3. ნ. ბაკალავა — ი. მამტაჯი (ყველა - „თელა"); **9 ცეკვა (16 წ. უხნესი)**: 1. ბ. რთველიაშვილი — ვ. ბაინდურაშვილი, 2. ჯ. [illegible]აშვილი — დ. ქოჩორაშვილი (ორივე წყვილი „თელა"), 3. პ. შონია — თ. ადიკაშვილი („ბლექპული"); **იუვინალი 1 (7-10 წ.წ. 10 ცეკვა)**: 1. ბ. კვიცარიძე — ნ. კვიცარიძე, 2. გ. ტყეშელაშვილი — თ. ქუთათელაძე, 3. დ. სოზაშვილი — ლ. კაკალაშვილი (ყველა — „თელა"); **იუვინალი 2 (10-12 წ.წ. 10 ცეკვა)**: 1. ო. ფოლადაშვილი — ქ ცხადაძე, 2. ლ. ჯინჭარაძე — ქ კობახიძე, 3. ი. გოლოძე — ქ ალავერდაშვილი (ყველა „თელა"); **იუნიორი-1 (13-14 წ.წ. 10 ცეკვა)**: 1. რ. გაჩეჩილაძე — ს. გამიდოვა, 2. თ. ფოჩხუა — მ. გოთაძე, 3. ბ. მზარეულიშვილი — ა. სუხოვეი (ყველა — „თელა"; **იუნიორი 2 (15-16 წ.წ. 10 ცეკვა)**: 1. გ. მეგრელიშვილი — ნ. კოხაშვილი („ელეგია"), 2. ნ. შონია — რ. შონია, 3. გ. მირიანაშვილი — ნ. მჟავია (ორივე წყვილი — „თელა"); **ახალგაზრდები (16-18 წ.წ. 10 ცეკვა)**: 1. ზ. კიკაბიძე — თ. გუგავა, 2. რ. ანანიკიანი — ნ. ქოთოლაშვილი (ორივე წყვილი - „თელა"), 3. გ. გონგაძე — მ. ორველაშვილი („ელეგია"); **უფროსები: (16-35 წ.წ. ზევით, 10 ცეკვა)**: 1. მ. მანჯავიძე — ლ. ქველაძე, 2. ზ. კიკაბიძე — თ. გუგავა, 3. რ. ანანიკიანი — ნ. ქოთოლაშვილი (ყველა — „თელა"); **გოგონები. სოლო (ლათ — ამერ)**: 1. ე. გოგოხია, 2. მ. გველესიანი (ორივე - „ბლექპული"), 3. გ. ციხელაშვილი („თელა"); **გოგონები. სოლო. „რუმბა"**: 1. მ. გველესიანი, 2. ნინო ლოლობერიძე (ორივე — „ბლექპული"), 3. გ. ციხელაშვილი („თელა"); **გოგონები.** სოლო „დისკო": 1. ქ. კოშუაშვილი, 2. ლ. მამედოვა, 3. ა. ალექსანიანი (სამივე — რუსთ. „მარცო"); **გოგონები. სოლო „მამბო"**: 1. მ. გველესიანი, 2. ნ. რობაქიძე, 3. მ. ლორთქიფანიძე (სამივე — თბ. „ბლექპული"); **გოგონები. სოლო. „სალსა"**: 1. ქ. კოშუაშვილი (ცისაფერსი"), 2. თ. კანაშვილი („ბლექპული"), 3. მ. ბექიაშვილი („თელა"); **გოგონები. სოლო. „ჩა-ჩა-ჩა"**: 1. ბექიაშვილი, 2. რობაქიძე, 3. კანაშვილი.

გამარჯვებულთა და პრიზიორთა კლუბების გარდა მონაწილეები წარმოადგინეს „ასაბესკმა" (ბათუმი), „სიხარულმა" (ახალციხე), „ფიესტამ" (თბ).

ნინო ქავთარაძე
თეონა პეტრემლვდლიშვილი

დიდი პედაგოგის ღვაწლის დაფასება

ისნის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დასრულდა მიხეილ შიშოვის მემორიალი ჭადრაკში.

ტურნირი პატივის მიგებაა იმ პიროვნებისათვის, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ჭადრაკის წინსვლა-განვითარებაში.

მ. შიშოვი (1910-1980 წ.წ.) იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საპატიო რკინიგზელი, რესპუბლიკის 5-გზის ჩემპიონი ჭადრაკში. მისი მთელი პედაგოგიური მოღვაწეობა დაკავშირებული იყო რკინიგზელთა კულტურის სახლის საჭადრაკო სკოლასთან. აღზარდა ბევრი უძლიერესი მოჭადრაკე, რომელთაგან მხოლოდ ნ. გაფრინდაშვილის, მ. ჩიბურდანიძის, დიდოსტატების ბ. გურგენიძის და ი. ეფიმოვის დასახელებაც კმარა.

მ. შიშოვი იყო ნ. გაფრინდაშვილის მწვრთნელი, როდესაც ნონამ პირველად და მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ზემოხსენებული ტურნირი ჩატარდა თბილისის განათლების განყოფილების მერიის მხარდაჭერით. გახსნას ესწრებოდნენ ქალაქის ვიცე-პრემიერი ქ. შენგელია, განათლების განყოფილების უფროსი ე. მაჩაიძე, ქალბატონი ნ. გაფრინდაშვილი. მონაწილეთა შორის კი იყვნენ დიდოსტატები: თ. გელაშვილი, ნ. ძაგნიძე, ლ. ჯავახიშვილი, ა. მათნაძე. საერთაშორისო ოსტატები: ლ. ფანცულაია, ნ. ჯანჯღავა, ოსტატები: მ. ქიპაშვილი, ლ. აროშიძე, მ. სულაშვილი, გ. ფარესიშვილი.

პირველიდან ბოლო ტურის ჩათვლით ლიდერობდა თამაზ გელაშვილი, რომელმაც დამაჯერებლად გაიმარჯვა 7,5 ქულით, მეორე ადგილი წილად ხვდა ლევან აროშიძეს — 5,5 ქ. მესამე — ლელა ჯავახიშვილს.

გამარჯვებულებს მიულოცეს განათლების სამინისტროდან დავით ბერძენიშვილმა, ნონა გაფრინდაშვილმა, ჟურნალ „ომეგას" მთ. რედაქტორმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ.

ტურნირი კარგ დახმარებას გაუწევს მონაწილეებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისათვის მზადებაში.

ორგანიზატორთა და მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, მომავალში მ. შიშოვის მემორიალი ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირად უნდა იქცეს.

დავით კალმახელიძე
თბილისის განათლების განყოფილების კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორის მოადგილე

კრივი. დ. კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი

დუნდუების მაგალითი გადამდები არ აღმოჩნდა...

დავით კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს უკვე 20 წლის ისტორია აქვს და ტრადიციულად მასში მონაწილეობენ კადეტები. წლეულს 1986-88 წლიანთა ჯერი დადგა. მასპინძელთა გარდა, როგორც ყოველთვის, ტურნირში მონაწილეობდა სომხეთის ნაკრები. სულ 17 გუნდის 100-მდე მოკრივე ჩაება ასპარეზობაში. ტურნირის ორგანიზატორი ამჯერადაც განათლების სამინისტროს დ. კვაჭაძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული კრივის სპორტსკოლა (დირექტორი რ. მეგრელიშვილი) იყო. ზოგიერთ წონაში მონაწილეთა სიმრავლის გამო, რამდენიმე გამარჯვებული გამოვლინდა.

გაგაცნობთ ყველა წონაში გამარჯვებულებს: **42 კგ** — მურად ელიზბარიანი (ახალქალაქი), **46 კგ**: გეგა ცერცვაძე (დკდ — დუნდუების კრივის დარბაზი) და გიორგი ბუცხრიკიძე (ტყიბული); **48 კგ**: დათო მჭედლიშვილი (რუსთავი) და ნიკო ლოთიკაშვილი (დუშეთი); **50 კგ** — გოგიტა გონჯილაშვილი (სოფ. გამარჯვება); **52 კგ** — გიორგი გოგოჭური (სოფ. გამარჯვება); **54 კგ** — გურამ სარია (დკდ); **57 კგ**: გიორგი ინასარიძე (თბ) და ალექსანდრე კაპანაძე (ჭიათ); **60 კგ**: დავით ნავერიანი (მარნ); **63 კგ**: დავით ჩუბინიძე (ფოთი) და ნიკა შათირიშვილი (დკდ); **66 კგ** — ბაკურ გოგოჭური (თბ); **70 კგ**: რამაზ ჯაოევი (თბ); **75 კგ** — ლევან წიკლაური (დკდ); **80 კგ** — ნოდარ ვეფხვაძე (დკდ); **86 კგ**: ირაკლი უტიაშვილი (გურჯ); **პლუს 86 კგ** — იოსებ გვარამაძე (გარდ).

სიახლე ის იყო, რომ ადრე თუ მხოლოდ დ. კვაჭაძის წონაში თამაშდებოდა თასი, ახლა პრიზისთვის ყველა წონით კატეგორიაში მოასპარეზენი იბრძოდნენ. ტურნირს საზეიმო ელფერი შესძინა დუნდუების კრივის დარბაზის სანაქებო მასპინძლობამ. არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ შევნიშნოთ, რომ დუნდუების ოჯახმა საქართველოს მომავალი თაობის კეთილდღეობაში ჩადო თავისი ქონება, რითაც სხვებს კარგი მაგალითი მისცა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს კარგი მაგალითი გადამდები არ აღმოჩნდა. იმედია, დროებით მხოლოდ...

ლაშა გოგია

პირველად საქართველოში

აი, კიდო სიახლე

„ლოკომოტივის" სპორტსკოლამ აიკიდოში მოზარდთა თბილისის პირველ ღია პირველობას უმასპინძლა. ტურნირის ორგანიზატორმა საქართველოს ტომიკო აიკიდოს ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ სიხარულიძემ ასპარეზობის გახსნისას თქვა: „დღეს ჩვენ ვდგავართ ისტორიული ფაქტის წინაშე, როცა საქართველოში პირველად ტარდება ოფიციალური ტურნირი აიკიდოში. მომავალში შეჯიბრებას ჩავატარებთ წელიწადში ორჯერ და სხვა კლუბების წარმომადგენლებსაც მოვიწვევთ. მოგილოცავთ, საქართველოში იწყება აიკიდოს განვითარების ახალი ეტაპი."

პროგრამა მოიცავდა წყვილთა ილეთების კომპლექსს („კატა") და თავისუფალ შეჭიდებას — რანდორი („კუმიტე"). აღსანიშნავია, რომ ამ სახეობაში წონითი კატეგორიები არ არის და შეჯიბრება აბსოლუტურია.

კვარცხლბეკი. კატა. 1. ია მაზანიშვილი და ლუკა მაჩაბლიშვილი, 2. ალექსანდრე ხეროდინაშვილი და გიორგი ბასილია, 3. ამირან ჩილოშვილი და დავით ჩილოშვილი (ყველა — კლუბი „ივამა"); **რანდორი:** 1. ალექსანდრე ხეროდინაშვილი („ივამა"), 2. გიორგი მერაბიშვილი, 3. გიორგი ოდიშვილი (ორივე — „ლოკომოტივი").

პრიზი — „მაყურებელთა სიმპათია" გადაეცა ყველაზე უმცროს მონაწილეებს ნიკოლოზ ჯახუას და ირაკლი პეტრიაშვილს. სამი საუკეთესო სპორტსმენი მაისში მოსკოვის ტურნირში იასპარეზებს. აიკიდოს მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა კი (ინგლისი, ქ. ლიდსი, აგვისტო) დამოკიდებულია სპონსორზე, რომელიც... ჯერ არ ჩანს.

თეონა პეტრემლვდლიშვილი

„დინამო" 80 წლისაა



დინამოელები ყოველთვის იწონებდნენ თავს იმით, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში თამაშობდა „დინამოს" სამი გუნდი. ამასთან, დინამოელები კარგად ათვითცნობიერებდნენ, რომ ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობა გულშემატკივართა და საზოგადოებრიობის წინაშე, რომლებსაც მუდამ სწყუროდათ მხოლოდ თავისი საყვარელი გუნდის გამარჯვება, სურთ იხილონ კარგი სათამაშო კომბინაციები, რომლის აპოთეოზია **გოლი!**

„დინამოს" ბრწყინვალე სამეულ გუნდში შედის წყალბურთის გუნდი, რომლის დებიუტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში შედგა 1946 წელს. გაცილებით წარმატებით გუნდი გამოდიოდა 50-60-იან წლებში, ორჯერ — 1960 და 1962 წელს გახდა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, სამჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

საქართველოში საწყალბურთო სკოლის ფუძემდებელია ლუკა ალექსანდრეს ძე იოაკიმიდი, უმაღლესი კლასის მწვრთნელი და პედაგოგი. „სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება" ერთ-ერთ პირველს სწორედ მას მიენიჭა ჯერ კიდევ 1956 წელს, როცა ეს წოდება ახალი დაწესებული იყო.

შორეულ, 1949 წელს, მე, ჯერ კიდევ ჭაბუკს, როცა „დინამოს" საშეფო მე-12 სკოლაში ვსწავლობდი, ბედი მეწია, მოვხვედრილიყავი „დინამოს" საცურაო აუზში, სხვა ბიჭებთან ერთად შერჩევით და მოვხვედრილიყავი სწორედ ლუკა ალექსანდრეს ძის ხელში. უნდა შევნიშნო, რომ ამ ბიჭებიდან ჩემი ყმაწვილობის გუნდ „ახალგაზრდა დინამოელში" და თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდში თამაშობდნენ: ი. ჩხიკვაძე, ზ. ლომიძე, ბ. მარგიევი, ჯ. ვადაჭკორია, გ. გაგუა, ვ. კუცია. ამ დროიდან დაიწყო ჩემი, როგორც სპორტსმენის, მწვრთნელის, სპორტის ფუნქციონერის კარიერა ჯერ თბილისში, შემდეგ მოსკოვში. დაიწყო ჩვენი მეგობრობა ლუკა ალექსანდრეს ძესთან, მეგობრობა ოსტატსა და შეგირდს შორის, შემდეგ მეგობრობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა, როგორც კოლეგებისა. სამწვრთნელო სარბიელზე, რომელიც გრძელდებოდა ლუკა ალექსანდრეს ძის სიცოცხლის ბოლომდე. მე გულწრფელად ვარ მისი მადლობელი.

ლ. ა. იოაკიმიდი საქართველოში არაერთი თაობის წყალბურთელთა და მოცურავეთა აღმზრდელია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაიწყო თამაში მსოფლიო წყალბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო ცენტრალურმა თავდამსხმელმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა პეტრე (ცაკო) მშვენიერაძემ, რომელიც მთელი 15 წელიწადი იყო სსრ კავშირის ნაკრების უცვლელი კაპიტანი. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ პ. მშვენიერაძემ წარმატებით დაიცვა სამეცნიერო ხარისხი და გახდა დოქტორი იურისპრუდენციაში, პოლკოვნიკი, რუსეთის ფედერაციის შსს იურიდიული უნივერსიტეტის ლექტორი.

ლ.ა. იოაკიმიდის მოსწავლეთა შორის არიან წარსულში გამოჩენილი წყალბურთელი, შეტევის სწორუპოვარი რაინდი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნოდარ გვახარია, შემდგომში თბილისის „დინამოს", საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, მილიციის პოლკოვნიკი, რომელიც დიდხანს მუშაობდა სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ; ძმები როსტომ და ზურაბ ჩაჩავები, გ. ხარებოვი, ლ. კრილოვი, თ. მძინარიშვილი, ვ. გოიაშვილი, გ. დარახველიძე, კ. ქიქინაძე, ი. სიხარულიძე, ი. ჩხიკვაძე, ბ. მეგედი, ლ. შიხიკიანი, თ. ივანიშვილი, ვ. სანაძე, ო. მიმინოშვილი, ლ. გოგოლაძე. თბილისის „დინამოს", საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრებების მეკარე ლერი გოგოლაძე - რომის ოლიმპიადის (1960) პრიზიორი, დღეს იგი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორია და კათედრას განაგებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მარცხნიდან: სხედან - ვ. კარმანოვი, პ. მშვენიერაძე, ი. მალინი (მწვრთნელი), ნ. გვახარია, მ. რიჟაკი; დგანან - ი. შლიაპინი, ა. კარტაშევი, ვ. არხიპოვი, ნ. მალინი (უმცროსი), ლ. პუშინსკი, გ. ხარებოვი, ზ. ჩაჩავა. 1955 წ.

მათ შორის, ვინც საფუძველს უყრიდა თბილისის „დინამოს" გუნდს, იყვნენ 60-70-იანი წლების გამოჩენილი წყალბურთელები - საბჭოთა კავშირის ნაკრებში, დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში და ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულები და პრიზიორები, ახალი ფორმაციის წყალბურთელი გივი ჩიქვანაია, რომელიც ქუთაისელმა მწვრთნელმა დ. ხორავამ აღზარდა, აგრეთვე საერთაშორისო კლასის მოთამაშეები, რომლებიც მრავალგზის გამოსულან სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებისა და თასების გამარჯვებულები და პრიზიორები — ვ. ისელიძე, მ. გიორგაძე, გ. ტუკვაძე, დ. გვახარია, რ. ჩომახიძე.

უმაღლესი მიღწევების პერიოდში „დინამოს" წყალბურთელთა გუნდს ხელმძღვანელობდნენ აბრამ პეტრეს ძე გილდი, როსტომ მიხეილის ძე ჩაჩავა და ნოდარ ვალერიანის ძე გვახარია.

ჭიდაობა, როგორც სპორტული ორთაბრძოლის სახეობა და ეროვნული სპორტული კულტურის შემადგენელი ნაწილი, ყველასათვის იყო სტრატეგიული სპორტის სახეობა უმაღლესი სპორტული ჯილდოების მონაპოვრის თვალსაზრისით. საქართველოს ფალავნები, მათ შორის დინამოელები, ყოველთვის შედიოდნენ საბჭოთა და მსოფლიო სპორტის ელიტაში. ამას მოწმობს სტატისტიკა, ციფრები და ფაქტები. დინამოდან ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არიან: დ. გობეჯიშვილი, ვ. ბლაგიძე, დ. ხახალეიშვილი, ოლიმპიადის პრიზიორები, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონები: შ. ლომიძე, გ. სალარაძე, ა. კიკნაძე, მ. სალაძე, ტ. ალიბეგაშვილი, რ. ხუტაბა, ვ. არსენიანი, დ. მეგრელიშვილი, ფ. მარტყოფლიშვილი, ჯ. ნიჟარაძე, თ. აფხაზავა, თ.შ. დაუშვილი, მ. ბერუაშვილი, ი. მაღალაშვილი, ქ. ნინიაშვილი.

ამ და სხვა დინამოელ ფალავნებზე, რომელთა რიგები შემდეგ სწორუპოვარი ლევან თედიაშვილის შემატებამაც დაამშვენა, თითოეულზე უსასრულოდ შეიძლება წერა, ალტაცების გამოხატვა და ხოტბის შესხმა. ყოველი მათგანი შეიძლება გამოიყოს, როგორც ქართულ სპორტის, ეროვნულ კულტურის ოქროს ჩარჩოში ჩასმული მარგალიტი. ღმერთისგან ბოძებული ნიჭით დაჯილდოებული ახალი ტალანტები ყოველთვის მოიძებნებოდა მთელ საქართველოში. თუ ჩავუკვირდებით სპორტსმენთა თუნდაც გვარებს, ვნახავთ, რომ საქართველოს სპორტი ესაა ქვეყნის სრული გეოგრაფია. მათ ავლენდნენ, ტალანტის გახსნისა და ოლიმპზე აღზევების შესაძლებლობას აძლევდნენ ასევე ნიჭიერი ადამიანები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვარდათ თავიანთი საქმე — მწვრთნელები, მაღალი კლასის სპორტული სელექციონერები, პედაგოგები: ვ. კუხიანიძე, მ. თიკანაძე, ლ. ძეკონსკი და ი. ბობოხიძე, ბ. მაზიაშვილი და ო. მერაბიშვილი, ქ. ნინიაშვილი და ფ. მარტყოფლიშვილი და სხვ.

20-იანი წლების დინამოელ ძალოსანთა სასახელო ტრადიციები დიდი წარმატებით განაგრძო საზოგადოების ახალმა თაობამ, რომლებმაც უმაღლესი მიღწევებით მრავალგზის გამოიჩინეს თავი საქართველოს, სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებში: ნ. დუმბაძემ და ე. გოკიელმა, ნ. ხნიკინა-დვალიშვილმა და რ. შავლაყაძემ, ვ. სანეევმა და ი. დიაჩკოვ-დუმბაძემ, ლამარა და მამია ტუღუშებმა, მ. ქოჩლაძემ და ა. ოვივიანმა, გ. გვინჩიძემ და ი მხეიძემ, ა. მოშიაშვილმა და ა. ანდრეევმა, ლ. შაგოვმა, ზ. ჯარაშნელმა და სხვა მრავალმა. მწვრთნელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბ. დიაჩკოვის, ა. კერსელიანის, ე. გოკიელის და სხვათა დამსახურება.

„დინამოში" აღიზარდნენ სპორტული ცურვის დიდებული ოსტატები: თ. ლეკვეიშვილი და ბ. ნიკიტინი, ლ. ფაჩულია და ე. ლაზარიდი, რ. არკადიევა და მ. ტატიშვილი, ს. შაგოვა და რ. ვორონინა, ვ. ლავრინენკო და ა. ანტონიანი, ა. იურჩენკო და ბ. კამენსკი, ვ. ჩოლარია და ნ. ქიგალევა, ი. ამნიაშვილი და ლ. სმირნოვა, ლ. კრილოვა და დები შავდიები, ა. იოაკიმიდი და ა. კრასკო, სხვა შესანიშნავი მოცურავეები. განსაკუთრებით მინდა გამოვყო საქართველოს ჩემპიონი, საპატიო დინამოელი იური ფილიპიევი, რომელიც აღიზარდა „ახალგაზრდა დინამოელში", იყო თბილისის ნახიმოვის სასწავლებლის კურსანტი, გახდა წყალქვეშა ცურვის მეზღვაური. 60-იან წლებში, სახელმწიფო დავალების შესრულებისათვის, პირველი რანგის კაპიტანს ი. ფილიპიევს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა და ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოვდა. ფილიპიევი და ზემოხსენებულ სხვა მოცურავეთა უმეტესობა ლ. იოაკიმიდის აღზრდილია.

ლ. იოაკიმიდის მოსწავლეთა შორისაა რევაზ მანჯავიძესთან („სპარტაკი") და ბათუმელ ივან მიხაილიცკისთან (ასკ) ერთად საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის ერთ-ერთი ფუძემდებელი, წარსულში მოცურავე ანატოლი ივანეს ძე პევცოვი (რუსეთის კინოვარსკვლავ დ. პევცოვას მამა). ისინი სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორები გახდნენ თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ (1955). ა. პევცოვი კი პირად პირველობაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მრავალი წლის განმავლობაში ა. პევცოვი სათავეში ედგა „დინამოს" ცენტრალურ საბჭოსა და სსრ კავშირის ნაკრებს, დიდი დამსახურებისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებისთვის მას მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. უნდა შევნიშნო, რომ 1953 წელს ამ შესანიშნავმა სპორტსმენებმა გმირობა ჩაიდინეს, ისინი იყვნენ პირველები, ეს იყო დასაწყისი. პირადად მე წილად მხვდა ბედნიერება, 1959 წელს, პევცოვთან და ი. მურომცევთან ერთად, მოგვეგო „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის გუნდური პირველობა. მომდევნო წლებში საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელები მრავალგზის გახდნენ უმაღლესი რანგის ასპარეზობების გამარჯვებულები და პრიზიორები.

საქართველოს დინამოელთაგან ყველაზე მაღალ შედეგს მიაღწიეს ი. მურომცევმა, ი. ბრიზგალოვმა, ა. კრავჩენკომ, ვ. ანანოვმა, ი. ბოროდინმა, ნ. ქაჯაიამ, ა. მაროტიმ, ა. შეროზიამ, პ. რუბეჟანსკიმ, ვ. გონჩაროვმა, ვ. კალინინმა. ვ. გომილკომ, დ. გრიგორმა და სხვებმა. თანამედროვე ხუთჭიდის რთული სპეციფიკის გათვალისწინებით, სპორტსმენთა მომზადებაში თავიანთი პროექტების რეალიზაციას წარმატებითართმევდნენ თავს „დინამოს" მწვრთნელთა კოლექტივი: გ. გამზარდია, თ. ჯეჯელვა, ა. სმირნიცკი, მ. გოგინაშვილი, ი. მურომცევი, ა. კრავჩენკო, ნ. ალავიძე. მათგან უმეტესობა გახდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მე ყოველთვის დიდი სითბოთი ვიხსენებ საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდელთა პირველ თაობას, ჩემს შეგირდებს, კოლეგა-მეგობრებს, მწვრთნელთა კოლექტივს, რომელსაც პირადად დიდხანს ვხელმძღვანელობდი და რომლებთანაც ერთად ვხარობდი ჩვენი სპორტული წარმატებებით და მათთან ერთად მიწევდა ბოლომდე მეგემა წარუმატებლობა — მარცხის სიმწარე. მე მათ გულწრფელ მადლობას ვეუბნები ყველაფრისთვის.

ხუთჭიდელები თავიანთი სპორტული საქმიანობით მუდამ მჭიდრო კავშირში არიან სპორტის იმ სახეობის მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან, რომელი სპორტის სახეობებიც შედის თანამედროვე ხუთჭიდის პროგრამაში. ამ სპორტულ მეგობრობას სარგებლობა მოჰქონდა ორივე მხარისთვის. ხუთჭიდელები ხშირად გამოდიოდნენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ფარიკაობასა და ცხენოსნობაში. მეტიც, ერთ-ერთი დინამოელთაგანი ტარიელ გოგოლაძე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში... ცხენოსნობაში! ხუთჭიდელები ხშირად გამოდიოდნენ, უფრო სწორედ, ეხმარებოდნენ თანამოძმეებს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატებში ფარიკაობაში და ეს მაშინ, როცა საქართველოს მუდამ ჰყავდა შესანიშნავი ოსტატები სპორტის ამ სახეობაში. ორი ქართველი მოფარიკავე — ნუგზარ ასათიანი (ხმალი) და ვლადიმერ აფციაური (რაპირა) ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

ვალერიან (სულიკო) როგავა

გაგრძელება იქნება. დასაწყისი. იხ „ლელო" №28-30

რინატ დასაევი

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები

ფეხბურთის ბევრი სპეციალისტისა და გულშემატკივრის აზრით, რუსეთის საუკეთესო მეკარე ლევ იაშინის შემდეგ (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) რინატ დასაევია. ალბათ არავის ეწყინება თუ ვიტყვით, რომ ეს უკანასკნელი ისეთი კაშკაშა ვარსკვლავი არ ყოფილა, როგორც ლეგენდარული იაშინი, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დასაევმა აშკარად ვერ შეძლო თავისი პოტენციალის მთლიანად გამოვლენა.

დასაევი ქვეყანას 1957 წლის 13 ივნისს ასტრახანში მოევლინა. პროფესიონალურ დონეზე ფეხბურთის თამაში 1975 წელს მშობლიური ქალაქის კლუბ „ვოლგარში" დაიწყო. იქ მისი მწვრთნელი ჰერალდ ბლედნიხი გახლდათ, რომელმაც იგი მყისვე კარში ჩააყენა (მეკარეობა რინატსაც სურდა). „ვოლგარში" მან სულ ორი წელიწადი დაჰყო, მაგრამ ამ დროის მანძილზე ბევრი რამ ისწავლა და თავის ასაკთან შედარებით მშვენიერ გოლკიპერად ჩამოყალიბდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

როგორც მოგეხსენებათ, 70-იანი წლების ნახევარში მოსკოვის „სპარტაკი" მწვავე კრიზისს განიცდიდა და 1976 წელს კლუბი თავისი ისტორიის მანძილზე პირველად უმაღლესი ლიგიდანაც კი გავარდა. სწორედ ამიტომ ხელმძღვანელობამ გუნდის თავკაცად კონსტანტინე ბესკოვი დანიშნა. გამოცდილ მწვრთნელს ძმები სტაროსტინებიც ეხმარებოდნენ. მათ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა შეკრიბეს, რომელთაგანაც ერთ-ერთი მაშინ ყველასათვის უცნობი ასტრახანის „ვოლგარის" მეკარე რინატ დასაევი იყო.

მომდევნო, 1977 წელს „სპარტაკმა" კარგი თამაში აჩვენა და დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. 1979 წელს კი გუნდი უკვე სსრკ ჩემპიონად მოგვევლინა. ეს გახლდათ დასაევის პირველი ტიტული კარიერაში. იმავე წელს იგი მოხვდა „33 საუკეთესოში" და საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

1980 წელს რინატი ნაკრებთან ერთად გახდა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი. „ოგონიოკის" გამოკითხვით კი ქვეყნის საუკეთესო მეკარედ იქნა აღიარებული (ამავე ჟურნალმა საბჭოთა კავშირის უძლიერეს გოლკიპერად იგი 1982, 1983 და 1985 წლებშიც დაასახელა). აგრეთვე 1980 და 1981 წლებში კვლავ მოხვდა „33 საუკეთესოში". იმავე 1980 წელს დასაევის სანაკრებო კარიერაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დაუვიწყარი იყო „მარაკანაზე" ბრაზილიასთან გამართული მატჩი და გამარჯვება — 2-1.

1982 წელს დასაევმა პირველად ითამაშა მუნდიალზე. საბჭოთა კავშირი ახალგაზრდა ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ამბიციურმა გუნდმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი გააღწია, მაგრამ იქ ნახევარფინალში გასვლისთვის გადამწყვეტ მატჩში, რომელშიც მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა, დაუზავდა პოლონელებს — 0-0. რინატსა და მის თანაგუნდელებს ალბათ შეეძლოთ მინიმუმ ნახევარფინალში გასვლა, მაგრამ თავდამსხმელები პასიურად გამოიყურებოდნენ და... იმავე 1982 და აგრეთვე 1983 წელს, რინატი კვლავ მოხვდა „33 საუკეთესოში", 1982 წელს ქვეყნის უძლიერეს მოთამაშედაც იქნა აღიარებული.

1984 წელს ნაკრების კაპიტანი გახდა. იმავე წელს პოპულარულმა ინგლისურმა ჟურნალმა „უორლდ სოკერმა" იგი მსოფლიო ნაკრებში შეიყვანა. 1985 და 1986 წლებში დასაევი ისევ მოხვდა „33 საუკეთესოში". იმავე 1986 წელს, მეორედ მიიღო მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში. საბჭოთა კავშირის ნაკრები კვლავ ნორმალურად გამოიყურებოდა და მერვედფინალშიც გააღწია. იქ ლობანოვსკის გუნდი ფავორიტი იყო, მაგრამ ასევე მშვენიერმა მწვრთნელმა გი ტისმა კარგი ტაქტიკა შეარჩია და ბელანოვის ჰეთ-თრიქს ბელგიამაც სამი გოლით უპასუხა, დამატებით დროში კი მეოთხეც გაიტანა. 1987 წელს მერვედ და 1988 წელს საბოლოოდ დასაევი „33 საუკეთესოში" ხვდება. 1988 წელსვე იგი ნაკრებთან ერთად გადის ევროპის ჩემპიონატის ფინალში და მარკო ვან ბასტენისგან ულამაზეს გოლს იღებს. საბოლოოდ საბჭოთა კავშირი ვერცხლის მედლებს ეუფლება. იმავე წელს სხვადასხვა გამოკითხვით რინატი პლანეტის საუკეთესო მეკარე ხდება.

სწორედ 1988 წელს, 1983 წლიდან მოყოლებული, „სპარტაკის" კაპიტანი რინატ დასაევი გუნდს ტოვებს და ესპანეთში, კერძოდ კი, „სევილიაში" მიდის. იმ დროს იგი 31 წლისა იყო და მიუხედავად იმისა, რომ მეკარისათვის ეს ასაკი სულაც არ არის კრიტიკული, მისი უცხოეთში წასვლა მაინც დაგვიანებული გამოდგა (მანამდე შანსი არც ჰქონია). იგი „სევილიაში" აშკარად დაიკარგა.

1990 წელს დასაევი მესამედ მონაწილეობს მუნდიალში. თუმცა, პირველსავე მატჩს საბჭოთა კავშირი რუმინეთთან აგებს, რაშიც დამნაშავედ რინატს მიიჩნევენ და სათადარიგოთა სკამზე გაამწესებენ. საბოლოოდ ლობანოვსკის გუნდი ჯგუფში რჩება. იმავე წელს დასაევი სანაკრებო კარიერას ამთავრებს (სულ 91 თამაში ნაკრებში).

1991 წელს დასაევი ულიმლამოდ ასრულებს საკლუბო და მთლიანად სათამაშო კარიერას. შემდგომში მან იქვე „სევილიაში" მწვრთელობას მიჰყო ხელი, მაგრამ ამ რანგში მისი დებიუტი არც ისე წარმატებული გამოდგა. რამდენიმე წელიწადში კი პოსტიდან წავიდა. იმ პერიოდში მას პირად ცხოვრებაშიც რთული დრო დაუდგა და არც ბიზნესში გაუმართლა (საკმაოდ ბევრი ფული დაკარგა). ამ ყველაფრის გამო ისეთ დეპრესიაში ჩავარდა, რომ ერთი ხანობა (დაახლოებით სამი წლის მანძილზე) ასტრახანში, მომლოდინე დედასაც კი არ შეხმიანებია. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ რინატი ცხოვრების ჩვეულებრივ სტილს დაუბრუნდა და ძველიან გზაზე სვლა განაგრძო.

მართალია, იმდროინდელი „სპარტაკი" ევროტურნირებზე ბევრ გრანდს ამარცხებდა და სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ რაიმე დიდი გამარჯვებისთვის არ მიუღწევია. შესაბამისად არც დასაევს მოუპოვებია განსაკუთრებულად აღსანიშნავი ტიტული (როგორც საკლუბო ასევე სანაკრებო დონეზე). იგი არც ისეთი სტაბილური თამაშით გამოირჩეოდა, როგორითაც თუნდაც იგივე იაშინი, მაგრამ მიუხედავად ამისა, კარგი მეკარის სახელით შევიდა ფეხბურთის ისტორიაში და ამასთანავე როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან თავისი პოტენციალი სრულად ვერ გამოავლინა. ასეა თუ ისე, იგი ყოველთვის იქნება გახსენების ღირსი.

გიორგი კაკაბაძე

პირველი გვერდიდან

საქართველო — რუსეთი

გადააქცევს თუ არა მგლებს ლომებად უეფას თბილი ხელი?

ვითარება ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ეროვნული გუნდი კიდევ ერთ ვარჯიშს დღეს, საღამოს უკვე „ლოკომოტივზე" გამართავს.

რუსეთის ნაკრებს რაც შეეხება, ვალერი გაზაევმა შეგირდები მოსკოვის გარეუბან დაბა ბორში შეკრიბა (სადაც შარშანდელი მატჩისთვისაც ემზადებოდა) და სათბილისო მზადება დაიწყო. რუსთა ოსმა თავკაცმა საქართველოს ნაკრებთან საპაექროდ გამოძახებულ ფეხბურთელთა შორის, ერთი ცვლილება უკვე შეიტანა. ტრავმა მიიღო და ნაკრებს გამოაკლდა ანდრეი სოლომატინი, რომლის მაგივრად თბილისში როსტოველი მცველი ანტონ როგაჩი გაემგზავრება. გაზაევის ნაკრებს ძირითადი მეკარეც გამოაკლდა. რკინიგზელი ოვჩენიკოვი დაშავდა და შეკრებიდან ტრავმის სამკურნალოდ ექიმებს მიაკითხა. გაზაევის განკარგულებაში კიდევ ორი მეკარეა — მანდრიკინი და ჩიჟოვი.

შეგახსენებთ, რუსები თბილისში დღეს, დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე ჩარტერული რეისით ჩამოფრინდებიან და „შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდებიან. ნაკრები „ლოკომოტივზე" ხვალ დილისით ივარჯიშებს.

რუსებისა და ქართველების საფეხბურთო, სანაკრებო პაექრობა სათავეს 1998 წლის 30 მაისიდან იღებს. მაშინდელი ამხანაგური მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა, მერე იყო ის, დასამახსოვრებელი „შუქჩამქრალი" მატჩი შარშან, 12 ოქტომბერს და აი, ხვალინდელი გაგრძელება ქართულ-რუსული სპორტული პაექრობისა.

X შესარჩევი ჯგუფი

შვეიცარია	4	2	2	0	7-3	8
რუსეთი	3	2	0	1	9-6	6
ალბანეთი	4	1	2	1	5-6	5
ირლანდია	4	1	1	2	5-7	4
საქართველო	3	0	1	2	2-6	1

ფეხბურთი და მაყურებელი კვლავ ერთად არიან...

ხვალინდელი მატჩის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. გარდა სპორტული შედეგისა, ქართველ და რუს ფეხბურთელთა პაექრობას სხვა დატვირთვაც აქვს და სასიამოვნო ისაა, რომ მატჩამდე მცირე ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე მოვიპოვეთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთა ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია. უეფას შტაბბინაში, ნიონში ნასტუმრებ სფფ-ს პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას და გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას იმედი გაუმართლდა. უეფას სააპელაციო კომიტეტი სპეციალურად ჩვენი საკითხის განსახილველად შეიკრიბა. თითქმის სამსაათიან სხდომაზე მსჯელობის შემდეგ, კომიტეტის ფრანგმა, ბულგარელმა და ინგლისელმა წევრებმა გულშემატკივრების სტადიონზე შეშვების ნება დაგვრთო, თუმცა, ამ გადაწყვეტილებას უეფას სადისციპლინო კომიტეტის ორი წევრი შეეწინააღმდეგა. ისინი თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ, რამდენიმე კვირის წინ მიღებულ გადაწყვეტილებას მატჩის უმაყურებლოდ ჩატარების შესახებ. მაგრამ, საბედნიეროდ, ქართული დელეგაციის არგუმენტებმა, იმან, რომ გულშემატკივართა უმრავლესობამ შარშანდელი ჩაშლილი მატჩის ბილეთები გულდაგულ შეინახა და გადათამაშებას მოუთმენლად ელოდა, გაჭრა. ხვალ, 30 აპრილს, 20 საათზე საქართველოსა და რუსეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს, სულ მცირე, 11-12 ათასი გულშემატკივარი შეძლებს დასწრებას, ისინი, ვისაც შარშანდელი, 12 ოქტომბრის მატჩის ბილეთები შენახული აქვთ.

უეფამ ნდობა გამოგვიცხადა და იგი უნდა გავამართლოთ. ჩვენი ეროვნული გუნდი უმაყურებლოდ აღარ დარჩება. უეფას სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. უეფამ ირლანდიასთან მატჩისას მომხდარი ინციდენტი მაინც გაითვალისწინა და ჯარიმის — 53 ათასი ევროს გადახდა დაგვაკისრა.

სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას განმარტებით, ამ სიტუაციაში ფულადი ჯარიმა მეორეხარისხოვანია, მთავარია, გულშემატკივარმა გაიხარა.

უეფას გადაწყვეტილებამ გაახარა საქართველოს ნაკრების მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც. ქომაგთა მხარდაჭერა ხომ, უმძიმეს მატჩში, ფეხბურთელებს ორმაგად წაადგებათ. ნაკრების მთავარი მწვრთნელის განცხადებით, წარმატების შანსი მოგვეცა და აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ივო შუშაკმა, რომელმაც ნაკრების შეკრება და ვარჯიში შაბათს დაიწყო, უკვე კვირას, ეროვნულზე ღია ვარჯიში ჩაატარა და მასმედიას ფეხბურთელებთან ერთად გაესაუბრა.

საქართველო-რუსეთის შარშანდელი ჩაშლილი მატჩის მომენტი

პირველი ლიგა. გათამაშების ცხრილი. XXIV ტური

ალაზანი-მერანი — დინამო2 (გადაიდო)
თსუ — კოლხეთი (ხ) 1-0
ჭაბუკთა ნაკრები — ივერია 1-0
გურია — ლოკომოტივი (სამტრედია) 6-4
ლაზიკა — მცხეთა 1-0
სპარტაკი — ლოკომოტივი 2 2-1
ცხინვალი — სამგურალი 1-0
ქობულეთი — მერცხალი 0-0

ლაზიკა	24	16	7	1	52-19	55
მერცხალი	24	14	7	3	43-20	49
მცხეთა	24	12	7	5	36-20	43
ცხინვალი	24	12	5	7	33-22	41
სპარტაკი	24	12	4	8	39-24	40
დინ-2 (თბ)	23	11	5	7	32-23	38
სამგურალი	24	10	7	7	29-22	37
თსუ	24	9	7	8	20-22	34
ივერია	24	9	5	10	33-33	32
ქობულეთი	24	9	5	10	15-21	32
ლოკომ.2	24	7	9	8	24-21	30
ჭაბ. ნაკრ.	24	8	4	12	35-37	28
გურია	24	7	6	11	26-37	27
ალაზ.-მერან.	23	4	5	14	26-53	17
კოლხეთი(ხ)	24	3	5	16	11-36	14
ლოკ.(სამტ)	24	3	2	19	21-65	11

რეგიონული ლიგა დასავლეთი, XXIII ტური

დინამო2 (ბთ) — დინამო (ზ) 3-0
ინტერი — სქური 0-1
სულორი — შევარდენი 3-0
ოდიში — სალხინო 0-3
დინამო (სოხ) — კოლხეთი2 0-3
სსუ — ლუკა 1-2
მაღაროელი — ჩიხურა 1-4
მეშახტე — რაჭა 3-0

ჩიხურა	23	21	0	2	62-15	63
სქური	23	18	3	2	48-20	57
მეშახტე	23	13	2	8	39-27	41
ლუკა	23	13	2	8	36-34	41
რაჭა	23	12	2	9	47-29	38
ინტერი	23	11	4	8	42-27	37
დინამო2(ბთ)	23	10	5	8	35-27	35
სულორი	23	9	7	7	34-25	34
მაღაროელი	23	9	6	8	34-36	33
კოლხეთი-2	23	8	6	9	33-30	30
სსუ	23	8	5	10	32-29	29
ოდიში	23	6	4	13	27-52	22
სალხინო	23	5	4	14	30-49	19
დინამო (ზ)	23	4	2	17	20-59	14
შევარდენი	23	3	4	16	16-51	13
დინამ.(სოხ)	23	1	2	20	11-60	5

შენიშვნა: დინამო (სოხუმი) დინამო (ზუგდიდი), ოდიში (ზუგდიდი), შევარდენი (ზესტაფონი) მოხსნილია გათამაშებიდან, მათ ჩაეთვალათ წაგება — 0-3

101
ვარჯიში
7-11 წლის ნორჩი ფეხბურთელებისთვის
პირველი ნაბიჯები საფეხბურთო ოსტატობის მწვერვალისკენ

ვარჯიში 73

ამოცანა. განივი გადაწოდება განსაზღვრულ ზონაში

ორგანიზაცია და შინაარსი. 20-24 მ. სიგრძისა და 30 მ. სიგანის მოედანზე იდგმება ორი კარი, რომელსაც იცავენ მეკარეები. ორი მოთამაშე ფლანგის თავდამსხმელის როლში დგას საპირისპირო კუთხეებში დიდი რაოდენობის ბურთებით. ორნი ბომბარდირის როლში დგანან, თითოეული — კარის პირდაპირ. კარებებს უკან იმყოფება მომწოდებელი. ერთი განაპირათაგანი ასრულებს გადაწოდებას დაბლით, მეორე — მაღლით, რათა „ბომბარდირებმა" მონაცვლეობით დაარტყან ხან ფეხით, ხან თავით, იმავდროულად უნდა შემოურბინონ ერთმანეთს კარებისკენ რეიდის დაწყებისას. დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ მოთამაშეები ცვლიან როლებს.



ინვენტარი. ოთხი დგარი, ორი გადასატანი კარი, ბევრი ბურთი.

რეკომენდაცია. მოთამაშეები გამუდმებით იცვლიან როლებს, მოქმედებენ ხან როგორც განაპირა თავდამსხმელი, ხან როგორც ბომბარდირი, ხან როგორც მომწოდებელი.

ვარჯიში 74

ამოცანა. ბურთის გადაწოდება მოძრაობაში უკან პარტნიორისთვის დასარტყმელად.

ორგანიზაცია და შინაარსი. დამრტყმელი დგება კარიდან 11-15 მეტრში. ფლანგის ორი მოთამაშე დგას 15-20 მ. კარებიდან დიდი რაოდენობის ბურთებით. ორი მომწოდებელი იმყოფება გვერდით ბოძთან კარის ხაზს უკან. განაპირები აკეთებენ ბურთით ფლანგზე გასვლის იმიტაციას, რის შემდეგ ბურთს მკვეთრად აწვდიან უკან პარტნიორს თავით ან ფეხით დარტყმისთვის, გადაწოდებიდან გამომდინარე, მოთამაშე, რომელიც ასრულებს დარტყმას, შეუძლია ან შეაჩეროს ბურთი, ან დაარტყას ფრენში, ან გაგზავნოს კარში თავით. მწვრთნელის მიერ დადგენილი დროის შემდეგ დამრტყმელი როლს იცვლის სხვა მოთამაშესთან. გადაცემები უნდა მიდიოდეს რიტმულად.



ინვენტარი. დიდი რაოდენობის ბურთები.

რეკომენდაცია. მოთამაშეს, რომელიც იძლევა პასს უკან, შეუძლია გაზარდოს ფლანგზე გარღვევის სიჩქარე, დამრტყმელმა კი შეასრულოს დარტყმა ერთი შეხებით.

ვარჯიში 75

ამოცანა. კარისკენ სწრაფად გაჭრისა და შეტევის შედეგიანად დასრულების შესწავლა.

ორგანიზაცია და შინაარსი. ერთმანეთისგან 9-14 მ. დაშორებით იდგმება ორი გადასატანი კარი, რომელსაც იცავს მეკარე. ორი მომწოდებელი დგება საწინააღმდეგო კუთხეებში დიდი რაოდენობის ბურთებით. მოთამაშეთა ოთხი წყვილი კარებების ორივე მხარეს მოეწყობა მწკრივად. მონაცვლეობით ეს წყვილები გამოდიან წინ ყოველი მხრიდან ჩამოწოდებული ბურთის მისაღებად და დამაგვირგვინებელი დარტყმის შესასრულებლად. ბურთის მიღებამდე მოთამაშეები ჯვარედინად ცვლიან ზონებს. მომწოდებელს შეუძლია ცვალოს მოწოდების ხერხი — გააგოროს ბურთი მიწაზე ან შეასრულოს მაღალი ჩაწოდება თავის დასარტყმელად. წყვილი, რომელმაც შეასრულა ეს მოქმედება, მიდის შორეულ მწკრივში, ვარჯიში კი გრძელდება საწინააღმდეგო მიმართულებით. მეკარეები რჩებიან კარებში და ბურთზე შემხვედრი გამოსვლებით ცდილობენ აიცილონ ფლანგიდან ჩაწოდებები.

ინვენტარი. ოთხი დგარი, დიდი რაოდენობის ბურთები.

რეკომენდაცია. აუცილებელი თვალყური მიედევნოს, რათა ყველა მოთამაშემ შეასრულოს დარტყმა, როგორც თავით, ისე ფეხით, ხოლო მომწოდებელს მიეცეს მითითება ცვალოს დასარტყმელად მოწოდების ხერხი.



ვარჯიში 76

ამოცანა. განივი ჩაწოდებები და შეტევის დაბოლოება მოძრაობაში.



ორგანიზაცია და შინაარსი. ორი გადასატანი კარი დგება 20X20 მ კვადრატში, თითოეულში მეკარეა. ყველა ბურთი დევს შუა ხაზზე ორივე მხრით. ორი მოთამაშე ბურთით იღებს სტარტს შუა ხაზიდან და ასრულებს განივ გადაცემას ორი ცენტრალური მოთამაშის მიმართულებით თავით ან ფეხით დასარტყმელად. ყველანი მორიგეობით ინაცვლებენ მომდევნო პოზიციაზე. შეიძლება რამდენიმე მომწოდებლის ან რიგის მომლოდინე მოთამაშის გამოყენება, რათა ვარჯიში შესრულდეს შეუწყვეტლივ.

ინვენტარი. ექვსი დგარი. ორი გადასატანი კარი, დიდი რაოდენობის ბურთები.

რეკომენდაცია. მწვრთნელს შეუძლია შესთავაზოს მომწოდებელს გამოიყენოს მოწოდების რომელიმე გარკვეული ხერხი (ჩაახვიოს კართან, შორეულ ან ახლო ძელთან, გამჭოლი და ა.შ.).

მალკოლმ კუკი

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „ლელო" №7-30

პირობითი აღნიშვნები:

✕ — მოთამაშე
☒ — მოთამაშე
0 — მეტოქე
G — მეკარე
C — მწვრთნელი
● ● — ბურთები
△ △ — დგარები
⚑ — ალამი

კარი
ის მოძრაობა
მოთამაშის მოძრაობა
ლი მოთამაშის მოძრაობა
+ 3 ფუტი +

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის

ვახტანგ ოდიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსს გია იმნაძეს დედის გარდაცვალების გამო.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები... მატჩები... შედეგები...

„ბაიერნი“ ჩემპიონია

«მილანი» კი ისევ აგებს

სევილია-რეალი

ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტური, რომელიც გასულ უქმეებზე შედგა, იმით იყო აღსანიშნავი, რომ ორი ქვეყნის ჩემპიონის ვინაობა ვადამდე გაირკვა.

გერმანიის ბუნდესლიგას უკვე ჰყავს ჩემპიონი. — ეს არის მიუნხენის „ბაიერნი“, რომელიც მართალია, ნაადრევად გამოეთიშა უკრაინის ჩემპიონთა ლიგას, მაგრამ ბუნდესლიგაში პირველობა არავის დაუთმო.

მორიგ ტურში „ბაიერნმა“ სტუმრად დაამარცხა „ვოლფსბურგი“ 2-0 და მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის. გუნდის უახლოესმა კონკურენტმა „შტუტგარტმა“ საკუთარ მოედანზე ვერაფერი მოუხერხა „ჰანზას“ (1-1), ხოლო დორტმუნდის „ბორუსიამ“ ფრედ დაასრულა შეხვედრა სტუმრად „მიუნხენთან“ (0-0).

სხვა მატჩები: „ჰერტა“ — „ჰანოვერი“ 2-0, „შალკე“ — „ბოხუმი“ 1-2, „ჰამბურგი“ — „ნიურნბერგი“ 4-0, „არმინია“ — „კოტბუსი“ 2-2, „კაიზერსლაუტერნი“ — „ვერდერი“ 1-0.

ბუნდესლიგის წლევანდელი პირველობის დასრულებამდე 4 ტურით ადრე „ბაიერნს“ 66 ქულა აქვს (30 თამაშიდან) და 13 ქულით უსწრებს „შტუტგარტს“. 52 ქულით მესამე ადგილზეა. დორტმუნდის „ბორუსია“.

ინგლისის პრემიერლიგის 36-ე ტურში წაიფორხილა „არსენალმა“, რომელმაც სტუმრად ვერ შეძლო „ბოლტონის“ დამარცხება (2-2). არსენ ვენგერის გუნდი 2-0-ს იგებდა, მაგრამ ბოლო 15 წუთში ორი გოლი გაუშვა. ლონდონელთა შეფერხებით კარგად ისარგებლა „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელმაც ასევე სტუმრად დაამარცხა „ტოტენჰემი“ 2-0 (გოლები გაიტანეს სქოულზმა და ვან ნისტელროიმ) და კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა უშუალო კონკურენტთან. ახლა ალექს ფერგიუსონის გუნდს 36 თამაშიდან 77 ქულა აქვს და 5 ქულით უსწრებს „არსენალს“, თუმცა ამ უკანასკნელს ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

„ბაიერნი“ ჩემპიონობას ზეიმობს

სხვა მატჩები: „ბირმინგემი“ — „მიდლსბრო“ 3-0, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ლივერპული“ 0-6, „ლიდსი“ — „ბლექბერნი“ 2-3, „სანდერლენდი“ — „ნიუკასლი“ 0-1, „ჩარლტონი“ — „საუთჰემპტონი“ 2-1, „ჩელსი“ — „ფულემი“ 1-1, „ევერტონი“ — „ასტონ ვილა“ 2-1, „მანჩესტერ სიტი“ — „ვესტ ჰემი“ 0-1.

იტალიის სერია „ა“-ს მორიგ ტურში „მილანი“ კვლავ დამარცხდა, ამჯერად სტუმრად „რომასთან“ და ძალიან საეჭვოა, „იუვენტუსს“ დაეწიოს, მით უმეტეს, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ 2-1 დაამარცხა შინ „ბრეშა“. 2 ქულა დაკარგა „ინტერმა“, რომელიც 1-0 უგებდა საკუთარ მოედანზე „ლაციოს“, მაგრამ რომაელებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება (1-1).

ახლა „იუვენტუსს“ 67 ქულა აქვს, და 8 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — „ინტერს“. კახი კალაძის „მილანი“ კი 55 ქულით მესამე ადგილზე იმყოფება.

სხვა მატჩები: „ატალანტა“ — „ტორინო“ 2-2, „ბოლონია“ — „კიევო“ 1-1, „კომო“ — „მოდენა“ 0-0, „პიაჩენცა“ — „პერუჯა“ 5-1, „რეჯინა“ — „პარმა“ 0-0, „ემპოლი“ — „უდინეზე“ 1-1.

ესპანეთის პრემიერადივიზიონში კი ჩემპიონობასთან ახლოსაა მადრიდის „რეალი“, რომელმაც მორიგ, 31-ე ტურში სტუმრად სძლია „სევილიას“ 3-1.

„სამეფო კლუბის“ უახლოესმა მდევრებმა კი მარცხი იწვნიეს: „დეპორტივო“ შერცხვა „მალიორკასთან“ (0-3), ხოლო „რეალ სოსიედადმა“ 1-2 წააგო „ბარსელონასთან“. 31 თამაშიდან მადრიდის „რეალს“ 64 ქულა აქვს. 60-60 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ „რეალ სოსიედადი“ და „დეპორტივო“.

სხვა მატჩები: „ატლეტიკო“ — „ოსასუნა“ 0-1, „ბილბაო“ — „ბეტისი“ 3-1, „მალაგა“ — „რასინგი“ 2-2, „რაიო ვალეკანო“ — „ესპანიოლი“ 0-3, „უელვა“ — „ვილიარეალი“ 5-0, „სელტა“ — „ვალიადოლიდი“ 0-0, „ვალენსია — „ალავესი“ 3-0.

შოტლანდიის პრემიერ-ლიგის 34-ე ტურში შოთა არველაძის „გლაზგო რეინჯერსი“ საკუთარ მოედანზე 1-2 დამარცხდა „სელტიკთან“. ამის მიუხედავად, „რეინჯერსი“ ისევ ინარჩუნებს ლიდერობას სატურნირო ცხრილში, — გუნდს 87 ქულა აქვს და 5 ქულით უსწრებს „სელტიკს“, თუმცა ამ უკანასკნელს ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

სხვა მატჩები: „აბერდინი“ — „ლივინგსტონი“ 1-0, „დანდი იუნაიტედი“ „ჰიბერნიანი“ 1-2, „დანფერმლაინი“ — „ჰართსი“ 0-1, „დანდი“ — „კილმარნოკი“ 0-1.

ჰოლანდიის ჩემპიონატში „კატა-თაგვობანა“ გრძელდება. დამაჯერებლად მიიწევს „პსვ ეინდჰოვენი“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისაკენ და მას კვალდაკვალ მიჰყვება „აიაქსი“. 29-ე ტურში ორივე გუნდმა გაიმარჯვა. „ეინდჰოვენმა“ სტუმრად გაანადგურა „გრააფსხაპი“ 6-1, ხოლო „აიაქსმა“ 3-1 მოუგო „ალკმაარს“. „ეინდჰოვენს“ 76 ქულა აქვს და ისევ 8 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს „აიაქსს“.

სხვა მატჩები: „ჰერენვენი“ — „ვიტესი“ 2-2, „ტვენტე“ — „ექსელსიორი“ 1-0, „გრონინგენი“ — „ბრედა“ 0-0, „ნაიმეგენი“ — „უტრეხტი“ 1-2, „ფეიენოორდი“ — „როზენდალი“ 1-0.

ავსტრიის ჩემპიონი გახდა „აუსტრია“, რადგან მას უკვე 68 ქულა აქვს და 21 ქულით (!) უსწრებს უახლოეს მდევარს — „გრაცერს“. კვირას „აუსტრიამ“ სწორედ „გრაცერს“ მოუგო სტუმრად 2-1.

სხვა მატჩები: „ზალცბურგი“ — „ადმირა“ 0-0, „კარნტენი“ — „რიდი“ 4-1, „პაშინგი“ — „შტურმი“ 2-3, „რაპიდი“ — „ბრეგენცი“ 1-1.

ბრაზილიაში სტადიონებზე ფეხბურთს კი არა, სპექტაკლების სანახავად დადიან

ლეონარდოს სრულიადაც არ თვლიან მსოფლიო ფეხბურთის სუპერვარსკვლავად, პოპულარობით ის ახლოს ვერ მივა რონალდოსთან, რივალდოსთან ან რომარიოსთან, მაგრამ თუკი მის ბიოგრაფიას გადავხედავთ, დავასკვნით, რომ მის მიერ მოპოვებული ჯილდოები ბევრ ფეხბურთელს შეშურდებოდა — შეიძლება ითქვას, მან საკმაოდ ბევრს მიაღწია და სულ ახლახან დამშვიდებით დატოვა დიდი ფეხბურთი. სხვათა შორის, საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება ლეონარდომ საფეხბურთო კლუბ „მილანის“ ოფისში, წლეულს, 1 აპრილს გააკეთა. როგორც იცით, ბევრ ქვეყანაში, მათ შორის იტალიაში, 1 აპრილი სიცილის დღედ ითვლება და ლეონარდოს ეს განცხადება ბევრს ხუმრობაც კი ეგონა, მაგრამ ამ დღეებში საბოლოოდ გაირკვა, — ლეონარდო ფეხბურთს ჩამოსცილდა... სწორედ ამის შესახებ საუბრობს ლეონარდო „სპორტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

დოსიე: ლეონარდო

დაიბადა 1969 წლის 5 სექტემბერს ბრაზილიის ქალაქ ნიტერუაში, ნახევარიცველისა და თავდამსხმელის ამპლუაში თამაშობდა. თამაშობდა „ფლამენგოში“, „სან პაულუში“, (ორივე – ბრაზილია), „ვალენსიაში“ (ესპანეთი), „კასიმა ანტლერში“ (იაპონია), „პსჟ“-ში (საფრანგეთი), „მილანში“ (იტალია). ბრაზილიის ორგზის ჩემპიონი, იაპონიის ჩემპიონი (1995), იტალიის ჩემპიონი (1998-1999 წ.წ.). „სან პაულუსთან“ ერთად მოიპოვა საკონტინენტთაშორისო, ლიბერტადორესისა და სამხრეთ ამერიკის თასები. 60 მატჩი ჩაატარა ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში და 7 გოლი გაიტანა. მსოფლიოს ჩემპიონი (1994) და ვიცე-ჩემპიონი (1998), ამერიკის თასის მფლობელი.

● **როგორც „მილანის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, თქვენ გუნდში რჩებით, ოღონდ ამპლუა შეიცვალეთ: იქნებით არა მოთამაშე, არამედ კლუბის... ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე... რა სამუშაოებს შეასრულებთ?**

— ჩემი მთავარი მოვალეობაა, ჯანსაღი ატმოსფერო შევქმნა ფეხბურთელებსა და გუნდის ხელმძღვანელობას შორის. „მილანი“ დიდი ოჯახია, სადაც ყოველდღიურად მიმდინარეობს ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა. თითოეულმა ფეხბურთელმა თავი ამ ოჯახის სრულყოფილ წევრად უნდა იგრძნოს, ხოლო კლუბის ხელმძღვანელობა მუდამ საქმის კურსში უნდა იყოს, თუ რა ხდება „მილანში“.

● **რატომ გადაწყვიტეთ ფეხბურთის მიტოვება მიმდინარე სეზონის დასრულებამდე ორი თვით ადრე?**

— მე კარგა ხანია ვმუშაობ „მილანთან“ ახალშექმნილ საქველმოქმედო ფონდში. ბოლო დროს ვამჩნევდი, რომ ერთმანეთს ველარ ვუთავსებდი ბურთსა და ჰალსტუხს. არჩევანის წინაშე დავდექი და ეს უკანასკნელი ავირჩიე.

● **არ აპირებთ ფეხბურთთან გამოსათხოვარი მატჩის მოწყობას?**

— ასეთი შოუს ღირსნი არიან „მილანის“ სიმბოლოებად ქცეულნი ბარეზი, რივერა, მალდინი. მე ხომ არც ისე დიდი პოპულარობა მქონდა.

ლეონარდო

● **თქვენ საქველმოქმედო ფონდი ახსენეთ... იქ როგორ მოხვდით?**

— ეს არცთუ პატარა ისტორიაა. 1998 წელს, როცა „პსჟ“-ს ღირსებას ვიცავდი, ფეხბურთელ რაისთან ერთად საქველმოქმედო ფონდის ჩამოყალიბება გადავწყვიტე, რათა დახმარება გამეწია ღარიბი ბრაზილიელი ბავშვებისათვის. დასამალი არ არის, რომ ბრაზილიაში სახელმწიფო სკოლები ვერ აძლევენ ბავშვებს ისეთ განათლებას, რომელიც ინტელიგენტად ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა, უარესიც, — ბავშვების უმრავლესობა ფინანსური პრობლემების გამო სკოლის გარეთ რჩება და, ე.წ. ქუჩურ გაკვეთილებს ღებულობს. ჩვენი მიზანი იყო, ასეთი ბავშვები სწორ გზაზე დაგვეყენებინა.

● **პრაქტიკულად, რისი გაკეთება შეძელით?**

— ბრაზილიაში შევქმენით ორი ბაზა, სადაც ბავშვები სწავლობენ. ერთი მდებარეობს რიო-დე-ჟანეიროს სიახლოვეს, ხოლო მეორე — სან-პაულუში. ჩვენ განათლების მიღებაში ვეხმარებით 9-დან 14 წლამდე ასაკის 600-მდე ბავშვს. პროექტის მუშაობზე ყოველწლიურად მილიონამდე ევრო იხარჯება. ამ თანხის მოპოვება ბრაზილიაში ძალიან ძნელია, ამიტომ დახმარებისათვის სხვა ქვეყნების საქველმოქმედო ორგანიზაციებს მივმართავთ-ხოლმე.

● **მოდით, ფეხბურთს დავუბრუნდეთ. თქვენ გიასპარეზიათ ბრაზილიის, ესპანეთის, იაპონიის, საფრანგეთისა და იტალიის ჩემპიონატებში. რით დაგამახსოვრდათ თითოეული მათგანი?**

— იტალიის ჩემპიონატი რთულია, მაგრამ კარგ ფეხბურთს თამაშობენ, ყველაზე ლამაზი ფეხბურთით კი ბრაზილიის ჩემპიონატი გამოირჩევა. ბრაზილიაში გულშემატკივრები სტადიონებზე ფეხბურთის კი არა, სპექტაკლების სანახავად მიდიან. ეს ფეხბურთელებმაც კარგად იციან და არტისტულ ფეხბურთს თამაშობენ. იტალიაშიც არის ლამაზი მატჩები, მაგრამ აქ მთავარი მაინც შედეგია. კარგი შთაბეჭდილება მაქვს ესპანურ, ფრანგულ და იაპონურ ფეხბურთზეც კი.

● **თქვენ ხშირად იცვლიდით ქვეყნებს. არ გიძნელდებოდათ ერ „რეჟიმიდან“ მეორ „რეჟიმზე“ გადასვლა?**

— მართალია, ქვეყნები სხვადასხვა იყო და ცხოვრების სტილიც, მაგრამ საქმე ხომ ყველგან ერთი მქონდა — უნდა მეთამაშა ფეხბურთი.

● **1994 წელს, როცა კარიერის პიკზე იმყოფებოდით და ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეთ, რატომ გადაწყვიტეთ იაპონიაში გადასვლა?**

— იმ პერიოდში დამირეკა ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავმა ზიკომ, რომელიც კმაყოფილი იყო იაპონიაში ყოფნით და მიმიპატიჟა. როცა „ამომავალი მზის ქვეყანაში“ გადავედი, ბევრმა ჩათვალა, რომ ჩემი საფეხბურთო კარიერა ამით დასრულდა, მაგრამ შეცდნენ. იაპონიაში გატარებული წლები დიდად სასიამოვნოდ მახსენდება — გულშემატკივრებით გადაჭედილი სტადიონები და ლამაზი ფეხბურთი, განა ეს ცოტაა. მალევე დამებადა სურვილი, დავბრუნებულიყავი დიდ ფეხბურთში (რატომღაც იაპონური პირველობები დიდ ფეხბურთად ვერავინ აღიქვა), თანაც მინდოდა, კვლავ მეთამაშა ბრაზილიის ნაკრებში. წადილიც ხომ ავისრულე, — 1998 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გავხდი.

● **ოთხი წლის განმავლობაში „მილანის“ ღირსებას იცავდით, 2001 წლის შემდეგ კი „დაიკარგეთ“...**

— 1998-1999 წლებში სკუდეტო მოვიპოვეთ „მილანთან“ ერთად და იმ სეზონში 12 გოლი გავიტანე, თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა 2001 წელს ბრაზილიაში გავემგზავრე, გასული წლის შემოდგომაზე კი ისევ „მილანში“ აღმოვჩნდი, — მინდოდა ჩემი საფეხბურთო კარიერა იტალიის ამ დიდებულ კლუბში დამესრულებინა. „როცა „მილანში“ ვბრუნდებოდი, კარგად ვიცოდი, რომ სათადარიგო მოთამაშის როლი მელოდა... შეიძლება სხვა გუნდში ამაზე არ დავთანხმებულიყავი, მაგრამ „მილანი“ მაინც „მილანია“.

შირერი – ათწლეულის საუკეთესო მოთამაშე

საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლის“ თავდამსხმელი ალან შირერი (ზოლიან მაისურში) ინგლისის ბოლო ათწლეულის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს იმ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რომელიც ინგლისის პრემიერ-ლიგის ოფიციალურმა ინტერნეტ-საიტმა ჩაატარა ქვეყნის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის მითითებით.

რეფერენდუმში საკუთარი აზრი გამოხატა 184 ქვეყნის 750 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა.

კინი თანაგუნდელებს ამხნევებს

ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა როი კინმა მოუწოდა თანაგუნდელებს, ყველა ღონე იხმარონ ინგლისის ჩემპიონატის მოსაგებად.

„ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ მთელი ყურადღება პრემიერ-ლიგაზე უნდა გავამახვილოთ“, — ამბობს კინი, რომელიც მიიჩნევს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მალე ჩამოიშორებს მთავარ კონკურენტს ლონდონის „არსენალს“.

„იუვენტუსი“ მზად არის ვერონის შესაძენად

ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მზად არის შეიძინოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ხუან ვერონი. მათი აზრით, არგენტინელი ფეხბურთელი იტალიაში უფრო გაიბრწყინებს, ვიდრე ინგლისში.

ნბა

მოულოდნელი სიურპრიზი ნბა-ს ფავორიტისათვის

WALLICE
30
AP

ნბა-ს ფლეი-ოფის მორიგ მატჩში „პორტლენდმა", რომელიც სერიაში 0-3 აგებდა „დალასთან", ყველასათვის მოულოდნელად გამარჯვების მოპოვება მოახერხა, თანაც წამყვანი მოთამაშეების — არვიდას საბონისის, სკოტი პიპენის, დერეკს ანდერსონის არყოფნის დროს. ყველაფერი გადაწყდა მესამე მეოთხედში, როცა „პორტლენდმა" რამდენიმე წუთის განმავლობაში მეტოქეს ერთხელაც არ ჩააგდებინა ბურთი კალათში. დროის ეს მონაკვეთი „პორტლენდმა" 21:0 მოიგო და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

„არ ვიცი, რა მოხდა, პირდაპირ გაოგნებული ვარ. „პორტლენდის" მოთამაშეებს ყველაფერი გამოსდიოდათ. ეს იყო ჩვენთვის ყველაზე ცუდად ჩატარებული შეხვედრა", — განაცხადა მატჩის შემდეგ „დალასის" მთავარმა მწვრთნელმა დონ ნელსონმა.

საინტერესოა, რომ „დალასთან" მატჩში „პორტლენდს" განაცხადში ჰყავდა... მხოლოდ (კალათბურთელი. სწორედ ამ ცხრა მოთამაშემ ნბა-ს ფავორიტი 19 ქულის (!) სხვაობით დაამარცხა 98:79.

თუკი წინა შეხვედრებში „ორლანდოს" ლიდერი მაკგრეიდი ლამის ქულათა საერთო რაოდენობის ნახევარს აგროვებდა და მისი გუნდი მაინც აგებდა, ამჯერად „დეტროიტთან" მხოლოდ 27 ქულა შესძინა „ორლანდოს" და ამ უკანასკნელმაც... მოიგო — 100:92.

სხვა მატჩები: „ფინიქსი" — „სან ანტონიო" 86:84, „ბოსტონი" — „ინდიანა" 102:92, „ლეიკერსი" — „მინესოტა" 102:97.

ლიუისი კლიჩკოებს საუზმედ და სადილად „გაინაწილებს"

ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა სუპერმძიმე წონაში, ინგლისელმა მოკრივემ ლენოქს ლიუისმა ყურადღება არ მიაქცია კრივის მსოფლიო საბჭოს მოთხოვნას მისადმი, დაეცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან ბრძოლაში. ლიუისმა დაგეგმა შეხვედრა 21 ივნისს, ლოს-ანჯელესში, კანადელ კირკ ჯონსონთან. ლიუისის მხრიდან ამგვარმა ნაბიჯმა აღაშფოთა კრივის მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობა, რომელმაც ლიუისს ჯონსონთან ბრძოლის ჩატარების სანქცია არ მისცა. გამოდის რომ, ლიუისს — ჯონსონის შეხვედრა არ მოექცევა ვბც-ს „ჩარჩოში", რადგან ამ უკანასკნელის დებულების თანახმად მსოფლიო ჩემპიონი ვალდებულია ჩემპიონის ტიტული დაიცვას ვბც-ს მიერ წარდგენილ ოფიციალურ პრეტენდენტთან.

არ არის გამორიცხული, ვბც-მ ლიუისს ასეთი თავნებობა არ აპატიოს და კიდევ ერთი სასჯელი მიუზღოს — ჩამოართვას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, თუმცა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უფრო პრაქტიკული ნაბიჯების გატარება არ შეუძლია, ვინაიდან გაკოტრების პირასაა მისული — ნიუ-იორკის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 31 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს გრაციანო როკიჯანის (ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით „ლელოს" წინა ნომერში).

თვით ლიუისი არ არის წინააღმდეგი ძმები კლიჩკოთაგან ერთ-ერთს შეხვდეს, თუმცა ამ მიზნით არავითარ პრაქტიკულ ნაბიჯს არ დგამს. მეტიც, — ლიუისი მათ თავის შესაფერის მეტოქეებად არც კი თვლის და აცხადებს: „ერთ-ერთ ძმას საუზმის დროს „შევსანსლავ", ხოლო მეორეს — „სადილობისას".

ამერიკელ ჰოკეისტთა კრახი მსოფლიო ჩემპიონატზე



დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. პირველივე დღეს სენსაციური შედეგი დაფიქსირდა — აშშ-ს ნაკრებმა, რომელიც ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია, მარცხი იწვნია დანიის გუნდთან 2:5. როგორც ჩანს, ამერიკელთა გუნდში მთლად ვერაფერია წესრიგში, რადგან ამ წაგებას კიდევ ერთი „ჩავარდნა" მოჰყვა, — ამერიკელი ჰოკეისტები მეორე ტურში 0:1 დამარცხდნენ შვეიცარიის გუნდთან. წარმატებით დაიწყეს ასპარეზობა რუსეთისა და კანადის ნაკრებებმა. რუსებმა პირველ ტურში 5:2 სძლიეს შვეიცარიელებს, მეორე დღეს კი დანიელები გაანადგურეს — 6:1. რაც შეეხება კანადელ ჰოკეისტებს, პირველ ტურში მათ ბელარუსის ნაკრებს სამი უპასუხო შაიბა გაუტანეს, მეორე ტურში კი 6:1 სძლიეს ლიტვის გუნდს.

სხვა მატჩები: პირველი ტური: ჩეხეთი — სლოვაკეთი 5:2, ავსტრია — ფინეთი 1:5, ლატვია — შვედეთი 1:3. მეორე ტური: გერმანია — იაპონია 5:4, უკრაინა — სლოვაკეთი 3:9, შვედეთი — ბელარუსი 2:1.

ახალი რეიტინგები

ატპ-მ და ვტა-მ ჩოგბურთელთა მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. მართალია, ლიდერები არ შეცვლილან, მაგრამ ერთი რამ თვალში საცემია. ანდრე აგასიმ 52 კვირის განმავლობაში ნაჩვენები შედეგების მიუხედავად, წარმოდგენილ რეიტინგში გადაუსწრო ლეიტონ ჰიუიტს. ახლა აგასის 4395 ქულა აქვს, ხოლო ჰიუიტს — 4295. გაგაცნობთ ატპ-სა და ვტა-ს მიმდინარე რეიტინგების პირველ ათეულებს:

ატპ

1. ანდრე აგასი (აშშ) — 371
2. კარლოს მოია (ესპანეთი) — 247
3. რაინერ შუტლერი (გერმ.) — 241
4. ხუან კარლოს მოია (ესპ.) — 247
5. როჯე ფედერერი (შვეიცარია) — 192
6. ენდი როდიკი (აშშ) — 186
7. გუსტავო კუერტენი (ბრაზ.) — 172
8. გილერმო კორია (არგენტ.) — 166
9. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ.) — 166
10. ვინსენტ სპეიდი (აშშ) — 136.

ვტა

1. სერენა უილიამსი (აშშ) — 7055
2. კიმ კლიისტერსი (ბელგია) — 4585
3. ვინუს უილიამსი (აშშ) — 4555
4. ჟ. ენინ-არდენი (ბელგ.) — 3910
5. ლ. დევენპორტი (აშშ) — 3304
6. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 2883
7. ამელი მორესმო (საფრანგ.) — 2687
8. ჩანდა რუბინი (აშშ) — 2524
9. დ. პანტუკოვა (სლოვაკ.) — 2512
10. ე. დოკიჩი (იუგოსლავია) — 2279

სპორტული მაისი

1-4 მაისი. თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. რიგა (ლატვია).

2-4 მაისი. წყალში ხტომა. გრან-პრი.

4 მაისი. ავტოსპორტი. ფორმულა-1. მსოფლიო ჩემპიონატის V ეტაპი. ესპანეთის გრან-პრი. ბარსელონა.

6-7 მაისი. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები. 7-17 მაისი. ფეხბურთი. 17 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. პორტუგალია.

8-11 მაისი. ავტოსპორტი. არგენტინის რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. V ეტაპი.

9-11 მაისი. კალათბურთი. ევროლიგა. ვაჟები. ოთხთა ფინალი. ბარსელონა (ესპანეთი).

9-11 მაისი. წყალში ხტომა. გრან-პრი.

10 მაისი — 1 ივნისი. ველოსპორტი. ჯირო დ-იტალია.

11 მაისი. მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატის III ეტაპი. ესპანეთის გრან-პრი. ხერესი.

12-18 მაისი. ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ათენი (საბერძნეთი).

13-14 მაისი. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. განმეორებითი მატჩები.

15-17 მაისი. ოლიმპიზმი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა. მადრიდი (ესპანეთი).

16-18 მაისი. წყალში ხტომა. გრან-პრი.

18 მაისი. ავტოსპორტი. ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატის VI ეტაპი. ავსტრიის გრან-პრი. შპილბერგი.

19-25 მაისი. ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. დიუსელდორფი. (გერმანია).

21 მაისი. ფეხბურთი. უეფას თასის ფინალი. სევილია (ესპანეთი).

23 მაისი. ფეხბურთი. ქალებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა. ვუანი (ჩინეთი).

23-25 მაისი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი (იუგოსლავია).

24 მაისი. რაგბი. ევროპის თასი. ფინალი.

25 მაისი. მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატის IV ეტაპი. საფრანგეთის გრან-პრი. ლე მანი.

26 მაისი — 1 ივნისი. ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. როლან გაროსი.

28 მაისი. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერი (ინგლისი).

საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მკვლელის ხელით დაიღუპა კიდევ ერთი გამოჩენილი სპორტსმენი, არცთუ შორეულ წარსულში ძიუდოსა და სამბოს ცნობილი ოსტატი

ენზური გოგიჩაიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



29 აპრი სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. „სპორტის სამყარო" (21.30), ***მე-9 არხი.*** მსოფლიო რაგბი (14.45), ევროპის სტადიონებზე (20.00) ***НТВ плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (14.00, 20.15), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.45), ახალგაზრდული გუნდების ამხანაგური მატჩი. რუსეთი — ფინეთი (16.55, 0.10), ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (19.20), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.00), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.10), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1-ლი რაუნდი. რუსეთი — ხორვატია (15.10), „ბილიარდის მეფეები" (22.30), საცხენოსნო სპორტი, დაბრკოლებათა გადალახვა. რუსეთისა და სანქტ-პეტერბურგის თასების თასი (23.00), *EUROSPORT.* ევროგოლები. საფეხბურთო ჟურნალი (17.00, 22.30), კრივი. საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულისათვის. პირდაპირი ტრანსლაცია (0.00).

30 აპრილი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო — რუსეთი. რეპორტაჟი „ლოკომოტივის" სტადიონიდან (19.45). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (14.45, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (5.35, 13.15, მიმოხილვა — 15.00), ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო მატჩი. რუსეთი — ფინეთი (15.55), ინგლისის (17.40), ესპანეთის (18.35), იტალიის (19.50), გერმანიის (1.25) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. ამხანაგური მატჩი: ჰოლანდია — პორტუგალია. პირდაპირი ტრანსლაცია (21.40), ლიბერტადორესის თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩი (23.40), ***НТВ плюс спорт.*** საცხენოსნო სპორტი. ლივერპულის სტიპლჩეიზი (11.45), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი რაუნდი. რუსეთი — ხორვატია (15.10, 21.00), *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროგოლები (12.30, 23.30), ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი — ეგვიპტე. პირდაპირი ტრანსლაცია (23.45, 2.00 — სპეციალური მიმოხილვა).

1 მაისი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევრიკა. სპორტის სამყარო (19.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (14.45), „ქართული ფეხბურთი" (20.00). იმედი. „ესტაფეტა" (23.40). ***НТВ плюс футбол.*** ამხანაგური მატჩი. მექსიკა — ბრაზილია (13.15, 21.15), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.00), ამხანაგური მატჩი: ჰოლანდია — პორტუგალია (16.40), „ფუტბოლ მუნდიალი" (18.25), ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. „ბარსელონა" — „იუვენტუსი" (19.30). ლიბერტადორესის თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.25), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.25). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. სტენლის თასი (11.45), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მიმოხილვა (15.35, 21.30), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (1.40), *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004 (11.30, 18.00), უეფას თასი (15.30, 22.00), საბრძოლო ორთაბრძოლები (1.00), ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მერვედფინალი (2.15).

კროსვორდი № 31



თარაზულად: 1. 1962 წლის ბრაზილიელი საუკეთესო ბომბარდირი, 5. „რეინჯერსის" ქართველი ლეგიონერი, 7. „ბარსელონას" არგენტინელი ლეგიონერი, 9. სვლა ჭადრაკში, 10. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, 11. მიუნხენის „ბაიერნის" გოლკიპერი, 13. 1982 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, 14. ამერიკელი მოკრივე, 15. „იუვენტუსის" ჩილელი ლეგიონერი, 16. კუპერის ახლანდელი გუნდი, 17. იარაღი ფარიკაობაში, 19. კრივში ორთაბრძოლის ხელმძღვანელი, 22. „ბაიერნის" მწვრთნელის სახელი, 24. „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი, 25. პარტია ჩოგბურთში, 26. რომის საფეხბურთო კლუბი, 27. ფიგურა ჭადრაკში, 28. იაპონელი კარატისტი, 29. სუფთა გამარჯვება ძიუდოში.

შვეულად: 1. ბელგიური საფეხბურთო კლუბი, 2. „იუვენტუსის" ჩეხი ნახევარმცველი, 3. იტალიის სერია „ბ" გუნდი, 4 ნბა-ს კლუბი, 5.. ევროპის ერთ-ერთი ტიტულოვანი საფეხბურთო კლუბი, 6. ცნობილი შვედი მოჭადრაკე ვაჟი, ვეტერანი, 7. 1962 წ. ბრაზილიელი მოთამაშე ფეხბურთელი, 8. ფორმულა-1-ის ავტომრბოლელი, რენოს პილოტი, 12. კოლუმბიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 13. „ბარსელონას" ფეხბურთელი, 15, „ლაციოს" ნახევარმცველი, 16. საფრანგეთის მე-2 დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 18. სპორტული თამაში ცხენებით, 20. ყაიმი ანუ... 21. იტალიის ჩემპიონი 2001 წელს, 23. შეჯიბრი ავტომობილებით, 24. სირბილი გრძელ დისტანციაზე, 25. კარში გატანილი ბურთი.

კროსვორდი №30-ის პასუხები:

თარაზულად: თარაზულად: 1. ფიზიკელა, 4. რაგბი, 5. ორძელი, 7. ლიუისი, 8. ნონა, 11. კალაძე, 12. ძოლა, 13. „სიენა", 16. ბადრო, 18. თედიაშვილი, 21. „რეალი", 22. „კრიუ", 23. ვერონი, 25 სტანკოვიჩი, 26 ლუკე, 29. ოკოჩა, 31. პელე, 32. კაფა, 33. კარლოსი, 34. შიმიჩი, 35. ძიუდო.

შვეულად: 1. ფილიპსი, 2. კასილიასი, 3. ანელკა, 4. რინგი, 6. რივალდო, 9. „აზოტი", 9ა. ხერგიანი, 10. განტელი, 14. მათეუსი, 15. მორიენტესი, 17. ბაჯო, 19. „დინამო", 20. შიფო, 24. ინძაგი, 26. ლიმა, 27. კაპელო, 28. კრუიფი, 30. „ჩელსი", 33. კიი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com